

# ხობის მოამბე


№6-7 (7066) 15 აპრილი,
პარასკევი, 2016 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

30 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები.

სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხი, მათ შორის:

დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის არჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლითაც სოფელ ყულევის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს დანიშნულ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით განისაზღვრა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების გა-



მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის საფუძველზეც პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის წყალსადენის სისტემის დაქსელვისა და სათაო ნაგებობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის შედგენის მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებულიქნა თანხა 60 000 ლარის ოდენობით.

საკრებულოს წევრების მხრიდან ერთხმად იქნა მხარდაჭერილი განკარგულების პროექტი „ქ. ხობში ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“.

საკრებულოს სხდომაზე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების სოფელ ყულევის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ სამართად ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ასევე ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება წინასაარჩევნო აგიტაციისთვის განთავსდეს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები და განცხადებები.

საკრებულოზე ასევე მოსმენილიქნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ, სადაც მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ დეტალურად ისაუბრა ყველა იმ პროექტზე, რაც გასულ წელს წარმატებით განხორციელდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

საკრებულოს მიერ გამგეობის 2015 წელს გაწეული საქმიანობა ერთხმად შეფასდა დადებითად. ამ და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.



## ერთად ვიზრუნოთ უკეთესი შედეგების მისაღწევად

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიას ანგარიში 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

3-10 გვ.

## 9–აპრილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსთვის დაღუპულთა მოგონების დღე

ხობში 9 აპრილის მემორიალი ტრადიციულად გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა. იყო ტკივილი, ცრემლი, სანთლები, ტიტები... კიდევ ერთხელ გაიხსენეს 9 აპრილი–დღე, როცა თბილისში, რუსთაველის გამზირზე, გამთენიისას, საბჭოთა არმიის ნაწილებმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით გამოსული მომიტინგეები სასტიკად დაარბიეს. ნიჩბებით დახოცეს 21 ადამიანი და მოწამლეს ასობით მომიტინგე.



ღონისძიება გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო. მასში მონაწილეობდა ხობის №1 საჯარო სკოლისა და საერო სკოლა „არეას“ მოსწავლეები, რომლებიც ყოველ წელს, ტრადიციულად, ამაღლებული განწყობით ხვდებიან ამ დღეს...

*„თუმცა დღეს ვარდისფად გვიღიმის აპრილი*
*გულს მაინც ტკივილი სერავს,*
*წლები გასულა განცდილი ელდა კი*
*არ გაგვნელებია ჯერაც...*
*რუსთაველს ჯერ კიდევ ატყვია წინწკლები*
*ცხრა აპრილს დაღვრილი სისხლის,*
*ქაშუეთს ჩაუკლია კვნესა და სიმღერა*
*თითქოსდა ზეციდან ისმის.*
*21 სიცოცხლეს ნიჩბებით დაჩეხილს*
*ასობით მოწამლულ ქართველს...*
*თაყვანისცემა, პატივი, დიდება,*
*დაღუპულთ ავუნთებთ სანთელს!..*
*კვლავ გავა აპრილი და ჩვეულად შემოვა*
*ასობით ფერით...*
*ეს დიდი ტკივილი არასდროს გაქრება,*
*სანამ იარსებებს ერი“...*

ლიზი, გოდერძი, გიორგი, ანრი, გიორგი, ლუკა–თაობა, რომელიც დღეს დროშებით ხელში ამაყად დგას 9 აპრილის მემორიალთან.

ღონისძიებამ ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 9 აპრილს მოწამებრივად დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის დედულეთში „ნათიას წყაროსთან“ გადაინაცვლა და წყარო ყვავილებით დაიფარა...



წმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარის მოძღვარმა, დეკანოზმა კირიონმა დაღუპულთა სახელების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ჩვენ უფლება არ გვაქვს, ეს დღე დავივიწყოთ, არ გავიხსენოთ. დღე, რომელიც ტკივილთან ერთად დღესასწაულიცაა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სიტყვები: „აღსრულდა ნება ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“, მუხრან მაჭავარიანმა მხატვრულად გადმოსცა თავის ლექსში;

*„ერი გაზვიადდა, გაიტანა ლელო,*
*შვიდში ქრისტე იშვა,*
*ცხრაში–საქართველო“*

**ნაირა ბერაია.**

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №30

**2016 წლის 30 მარტი** **ქ. ხობი**

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების სოფელ ყულევის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ აჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების და 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების სოფელ ყულევის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო უბნებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონდებლობით აკრძალულისა.

2. ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საარჩევნო უბანში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულიქნეს ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობა გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

3. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის (პლაკატების, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით, საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები ასევე განთავსდეს ქ. ხობის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილ სტენდებზე:

ა) №66.01 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ცოტნე დადიანის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე კოსტავას ქუჩის გადაკვეთასთან.

ბ) №66.02 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ცოტნე დადიანის ქუჩაზე რესტორან „ლიმილთან“ და ცოტნე დადიანის ქუჩაზე გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთასთან:

გ) №66.03 საარჩევნო უბნის ჭყონდიდელის ქუჩის დასაწყისში, 9 აპრილის ხეივანთან და ჭყონდიდელისა და 26 მაისის ქუჩების გადაკვეთაზე:

დ) №66.28 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე ცოტნე დადიანის ქუჩაზე კოლხეთის დასახლების შესახვევთან და სტალინის ქუჩაზე რუსთაველის ქუჩის გადაკვეთასთან.

4. აიკრძალოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 მაისის შუალედურ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსება საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სასამართლოს და პოლიციის შენობების ინტერიერისა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე;

5. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ქაჯაია):

ა) საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სტენდების მოწესრიგება;

ბ) ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება წინასაარჩევნო აგიტაციის, წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების (მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებები) გავრცელებაზე, პოლიტიკური წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებაზე, სხვა წინასაარჩევნო საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე და უზრუნველყოს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი სამართალდარღვევის ფაქტზე საჭირო სანქციების გამოყენება.

6. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონულ სამმართველოს (ი.შენგელია) წინასაარჩევნო კომპანიის მიმდინარეობისას ამ განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

7. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს (ლ. შამათავა) საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3)

*ედიშერ ჯობავა, საკრებულოს თავმჯდომარე.*

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ხობში საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გაიხსენეს



31 მარტს, ქ. ხობის თედო სახოკიას სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით გამართული რეფერენდუმის 25 წლის იუბილე აღნიშნეს. ზვიად გამსახურდიას 77 წელი შეუსრულდებოდა.

ბიბლიოთეკაში ამ დღესთან დაკავშირებით პირველი პრეზიდენტის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი, როსტომ ჩხეიძის წიგნის „ეკლის გვირგვინი“ პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიების დასაწყისში ანსამბლმა „კოლხეთმა“ სიმღერა „ჩემო კარგო ქვეყანა“ შეასრულა, ხოლო საჯარო სკოლების მოსწავლეებმა პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსები წაიკითხეს. წიგნში რომლის შესახებ თავად ავტორმა, მწერალმა და მთარგმნელმა როსტომ ჩხეიძემ ისაუბრა, გამთლიანებულია სხვადასხვა დროს დაწერილი ორი თხზულება „თუ საწუთრომან დამამხოს“ და „ძველი ხიბულას საიდუმლოება“ და ერთიან ქმნილებად შეიკრა ბიოგრაფიულ რომანად.

ღონისძიებას, მოწვეულ სტუმრებთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებელი გოჩა ქაჯაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის აპარატის უფროსი ლაშა გვასალია და გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია ესწრებოდნენ.

## შეხვედრა ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან



ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ, გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაიამ და გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ანტონ ვარდიამ გამგებლის წარმომადგენლებს „მცირემიწიან ფერმართა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით“ მოსარგებლე პრობლემურ ბენეფიციარებზე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სოფლის მეურნეობის ოფიციალური სტატისტიკის წარმოებაზე, შინაური ცხოველების პროფილაქტიკის (ვაქცინაცია) მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებზე და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციაზე მიაწოდეს ინფორმაცია.

შეხვედრას შპს „აგრო–ქედა“ და შპს „აგრო-ჩოხატაურის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს სხვადასხვა სახეობის ხილის ჩაბარებისა და გადამუშავების შესახებ ესაუბრნენ.

## ხობში ქუჩების კეთილმოწყობა მიმდინარეობს



ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ქალაქ ხობში მიმდინარეობს ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები. გურამიშვილის, ჯავახიშვილის, ლოლუას, ვეკუასა და მშვიდობის ქუჩებზე ხორციელდება სანიაღვრე არხების მოწყობა და გზის სავალ ნაწილზე ასფალტის დაგება. სამუშაოებს აწარმოებს შპს „შარა-გზამშენი პირველი“.

მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ ვარაზ გაბედავამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს.

## საგაზაფხულო სამუშაოები შუა ხორგაში



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებელი გოჩა ქაჯაია შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში იმყოფებოდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში სახნავი ბარათის მიხედვით, სულ მოსახნავია 341.1 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. მიმდინარე სამუშაოებს ამხანაგობა „სოფლტექსერვისი“ ასრულებს.

შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე ხორციელდება შიდა გზების მოხრეშვა და საყანე ტერიტორიასთან მისასვლელი ხიდ-ბოგირის შეკეთება.

# ერთად ვიზრუნოთ უკეთესი შედეგების მისაღწევად

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიას ანგარიში 2015 წელს

### 1 ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ



**ქალბატონებო და ბატონებო!**

2015 წელს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა 9 სამსახურის მეშვეობით. ესენია:

1. ადმინისტრაციული სამსახური;
2. საფინანსო–საბიუჯეტო სამსახური;
3. ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური;
4. ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური;
5. სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური;
6. კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;
7. შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური;
8. წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური.
9. შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, წარმოგიდგენთ როგორც სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობას მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისთვის, ასევე მათი საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიღწეულ შედეგებს:

მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბიუჯეტო შემოსავლები, რომლის მოცულობითაც იგი სხვა მუნიციპალიტეტებისგან წლების განმავლობაში გამორჩეული იყო.

ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების მართვას ახორციელებს გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება-დასაბუთებას, დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ, მიზანშეწონილ და ეფექტიან გამოყენებაზე წინასწარი და მიმდინარე კონტროლის დაწესებას, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შესაბამისად ხარჯების გაწევას, შესაბამისი ფინანსური ოპერაციების განხორციელებას და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშგებას.

მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა და საკრებულოს მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. დამტკიცებული 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი ყველა საჭირო დანართებით წარდგენილიქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში და აისახა სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში. საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტზე შედგა კვარტალებისა და თვეების მიხედვით განწერა, რომლის ფარგლებშიც ასევე მომზადდა და დამტკიცდა ადგილობრივი შესყიდვების გეგმა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საბიუჯეტო რესურსების ხარჯვა გეგმიურად ხორციელდებოდა. საანგარიშო წლის განმავლობაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილიქნა 6 ცვლილება. მომზადდა სატენდერო დოკუმენტაცია 90 გამარტივებული ელექტრონული ტენდერისათვის, რომელთაგან შედგა 60 ტენდერი. სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად სულ მომზადდა 264 ხელშეკრულების პროექტი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დამტკიცებულ ვადებში წარედგინა 2015 წლის შესყიდვების გეგმა, ასევე დამტკიცებულ ვადებში ხდებოდა შესყიდვების მიმდინარეობაზე სათანადო ანგარიშების წარდგენა. სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გამგებლის ბრძანებებისა და საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე ხორციელდებოდა ცვლილებები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოველთვიურად და კვარტალურად წარედგინებოდა ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშები და დამტკიცებული ფორმები. ყოველთვიურად დამტკიცებული ფორმების მიხედვით წარედგინებოდა მასალები კონტროლის პალატას. არც ერთ შემთხვევაში დაგვიანების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 6424,2 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში 6433,9 ათასი ლარის ოდენობით დამტკიცდა. 2015 წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა საშემოსავლო ნაწილში 9850,3 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში–9886,8 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 6170,9 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია, მათ შორის, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად–220.0 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი–1551,8 ათასი ლარი, 1000,0 ათასი ლარი–რეგიონებში ინფრასტრუქტურისა და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, ხოლო 3399,1 ათასი ლარი–ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები (კაპიტალური), მათ შორის, 841,0 ათასი ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერია.

2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 97,9 %-ით (წლიური გეგმა 9850,3 ათასი ლარი–შესრულება 9646,7 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლები, გეგმიური წლიური 3000.0 ათასი ლარიდან შესრულებულია 2830,5 ათასი ლარით–169,5 ათასი ლარით ნაკლებით. გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია 6086,4 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები ბიუჯეტით გათვალისწინებული 475,8 ათასი ლარიდან ბიუჯეტში შემოსულია 590,8 ათასი ლარი–115,0 ათასი ლარით მეტი; შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია წლიური გეგმიური 203,6 ათასი ლარიდან 139,8 ათასი ლარი–63,8 ათასი ლარით ნაკლები.



სოფლის მეურნეობის მინისტრი ხობში

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი ათვისებულია 90,8 % (წლიური გეგმა–9886,8 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება–8976,8 ათასი ლარი). „თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაცვა“–წლიური გეგმიური 525,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 510,1 ათასი ლარი; „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“–გეგმით გათვალისწინებული 4121,5 ათასი ლარიდან ათვისებულია 3557,8 ათასი ლარი; „საგანმანათლებლო ღონისძიებები“–წლიური გეგმიური 1312,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 1274,2 ათასი ლარი; „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ –წლიური გეგმიური 995,8 ათასი ლარიდან გახარჯულია 924,9 ათასი ლარი; „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა“–გეგმიური 493,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 456,8 ათასი ლარი.

ფულადი სახსრების ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 828,4 ათასი ლარს შეადგენდა. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ნაშთი 439,8 ათასი ლარი იყო.

გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობების მოზიდვის კუთხით. კერძოდ, 2015 წლის განმავლობაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, გარემოს დაცვის სააგენტოსა და სახელმწიფო ხაზინის მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილიქნა სხვადასხვა გადამხდელებიდან ინკასოს წესით ამოღებული და 077 სახაზინო კოდზე მიმართული ან გადამხდელების მიერ სხვა მუნიციპალიტეტებში ჩარიცხული 122,0 ათასი ლარი, რაც დაბრუნებულია მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში.

ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების დიდი ნაწილი ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდისთვის მიიმართა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის.

საბიუჯეტო სახსრების მიმართვა, შესაბამისი სფეროების მიხედვით და გამგეობის საქმიანობის ეფექტურობა, უნდა განვიხილოთ შესაბამისი სამსახურების მხრიდან ამ სფეროებში გაწეული საქმიანობით:

ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად გამგეობა თავის უფლებამოსილებებს ახორციელებდა ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მეშვეობით. სამსახური უზრუნველყოფდა თვითმმართველ ერთეულში ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრას და განხორციელებას, ამ მიზნით საჭირო ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი წესების შემუშავებას, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას. სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, წინადადებების შემუშავებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვის, სატრანსპორტო რეგულირების, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და სხვა სახის ეკონომიკური აქტივობების შესახებ.



საკრებულოს სხდომაზე

4

# ერთად ვიზრუნოთ უკეთესი შედეგების მისაღწევად

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიას ანგარიში 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

3

სამსახურის მიერ განხორციელდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქონების აღრიცხვა და მისი მართვისა და განკარგვისთვის წინადადებების და სათანადო დოკუმენტაციის მომზადება, სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების გატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აუთვისებელი ქონების ინვენტარიზაცია. აღიწერა სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, მუნიციპალური დანიშნულების მიწის ფართობები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. სულ აღიწერა 719 შენობა-ნაგებობა, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი. აღსანიშნავია, რომ მომზადდა წინადადება და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და მიმდინარე პერიოდისთვის დაუტვირთავი ქონებიდან მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა კინოთეატრი „თუთარჩელა“, რის შემდეგაც მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მისი ფუნქციური დატვირთვისთვის სათანადო სამუშაოების განსახორციელებლად. ამ თემას ჩვენ, ამავე ანგარიშში, კვლავ შევეხებით.

განსაკუთრებულ კონტროლზე იქნა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებისა და რაციონალურად გამოყენების საკითხი. საჭიროების შემთხვევაში მზადდებოდა შუამდგომლობები ლიცენზიებისგან გამოსათავისუფლებელი იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე. გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული წერილის საფუძველზე წესდებოდა მონიტორინგი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე და ათვისების საკითხებზე.

საანგარიშო წლის განმავლობაში, ადგილობრივ ბიუჯეტში ბუნებრივი რესურსებიდან მოსაკრებლის სახით შემოსულია 185,0 ათასი ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 115,0 ათასი ლარისა. მათ შორის წიაღით სარგებლობიდან შემოსულია 6,9 ათასი ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსების სარგებლობიდან–14,5 ათასი ლარი, წყლის რესურსების სარგებლობიდან–44,4 ათასი ლარი და სხვა ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან–119,0 ათასი ლარი. წლიური გეგმა შესრულებულია 161 %-ით. ასევე, წლის განმავლობაში, ქონების რეალიზაციიდან შემოსულია 36,78 ათასი ლარი.

ასევე კონტროლდებოდა დასუფთავების მოსაკრებლების გეგმის შესრულების საკითხი. 2015 წლის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 39,8 ათასი ლარი დასუფთავების მოსაკრებელი, მათ შორის იურიდიული პირებიდან –22,8 ათასი ლარი, ფიზიკური პირებიდან–14,5 ათასი ლარი, მოსახლეობიდან–2,5 ათასი ლარი. წლიური გეგმა შესრულებულია 107 %-ით.

სტატისტიკური აღრიცხვის კუთხით მომზადდა სტატისტიკური ინფორმაცია რაიონის ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის შესახებ. ტრანსპორტის რეგულირების კუთხით საგზაო დეპარტამენტის წინაშე დაისვა საკითხი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე საჭირო საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ.



არხის ამოწმენდითი სამუშაოები



ნაპირსამაგრი სამუშაოები ხიბულაში



გზის მშენებლობა მუხიდობის ქუჩაზე



თორსა-დღვაბის წყალსადენის მშენებლობაზე



ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი მიზანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელსაყრელი და მიმზიდველი ეკონომიკური და სოციალური გარემოს შექმნაა, რაც ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური განვითარების საფუძველი უნდა გახდეს.

ამ კუთხით მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი აქტივობები შეინიშნება. ჩამოვთვლით მხოლოდ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ინვესტიციებს:

შპს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ მიერ შესყიდულიქნა 200 ჰა მიწის ნაკვეთი სოფლის მეურნეობის, კერძოდ დაფნის პლანტაციის გასაშენებლად. ინვესტიციის მთლიანმა მოცულობამ 1,5 მილიონი ლარი შეადგინა. დასაქმდება 60-მდე მუშახელი.

შპს „ფიგაროს“, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, საკუთრებაში გადაეცა 2 ჰა მიწის ფართობი, სადაც მოეწყო პლასტმასის ნაკეთობათა ახალი საწარმო. ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 2,0 მილიონი ლარი შეადგინა. დასაქმდება 50-მდე მუშახელი.

შპს „კოლხას“ მიერ, პროგრამის „თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი და ზეთის მიმღები ქარხანა შენდება. პროექტის ფარგლებში იხარჯება 2,4 მილიონი ლარი, პროექტს გარეთ კი–ასევე 2,4 მილიონი ლარი. ISO სერთიფიცირებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები. დასაქმდება 50-მდე მუშახელი.

შპს „კოლხურის“ მიერ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კომბინირებული საკვების საწარმო შენდება. ინვესტიციის მთლიანი მოცულობა 2,2 მილიონ ლარს შეადგენს. დასაქმდება 30-მდე მუშახელი.

შპს „ხიბლის“ მიერ შეიქმნა თაბაშირმუყაოს და სამშენებლო მასალების საწარმო. ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 4,4 მილიონი ლარი შეადგინა. დასაქმდება 40-მდე მუშახელი.

შპს „კოლხეთი და კომპანიას“ მიერ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, შეიქმნა კომპლექსი „კოლხური ნობათი”, რაც მოიცავს მეფრინველეობას, მეცხოველეობას, თანამედროვე სტანდარტების სასაკლაოს. ინერგება „ASP“-ის სტანდარტები, პროდუქტების მწარმოებელი საწარმო. ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ 432,0 ათასი დოლარი შეადგინა, დასაქმდება 20-მდე მუშახელი. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მსგავსი კომპლექსის შექმნა ზონებრივად, 3 ზონაში, ხოლო მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში - ეტაპობრივად თითო საწარმოს გახსნა.

შპს „შამათიას“ მიერ სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამა „ENPARD“-ის ხელშეწყობით შეიქმნა სასათბურე მეურნეობა. ინვესტიციების საერთო მოცულობამ 96,0 ათასი ლარი შეადგინა - დასაქმდება 15-მდე მუშახელი.

შპს „გეორგიან როდუცტ ლენაისსანცე“ მიერ, ქ. ხობში შეიქმნა თხილის გადამამუშავებელი საწარმო, რომლის საინვესტიციო ღირებულებამ 690,0 ათასი ლარი შეადგინა. დასაქმდება 40-მდე მუშახელი.

შპს „რუკა მაპინგის“ მიერ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, საჯიჯაოში, 2016 წლისთვის დაგეგმილია თხილის ქარხნის მშენებლობა წელიწადში 1000 ტონა თხილის გადამუშავების წარმადობით. ინვესტიციის მოცულობა 1,2 მილიონი ლარია - დასაქმდება 75-მდე მუშახელი.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 50-ზე მეტმა პროექტმა გადალახა პირველი ეტაპი. ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის თანამშრომლების მიერ მცირე მეწარმეებს გაეწიათ საკონსულტაციო და პრაქტიკული დახმარება, გრანტის მოსაპოვებლად საჭირო ბიზნეს გეგმისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციის მოსამზადებლად. აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული გრანტი მიიღო 15 მეწარმემ და დაიწყო ფუნქციონირება.

მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი მიმართულებაა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. რის საფუძველზეც, უკანასკნელ წლებში, მნიშვნელოვნად არის ყურადღება გამახვილებული მუნიციპალიტეტში არ-

5

# ერთად ვიზრუნოთ უკეთესი შედეგების მისაღწევად

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიას ანგარიში 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

4

სებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობა 2015 წელსაც წარმატებულად იქნა აღიარებული არამარტო რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ სფეროში გამგეობის სამსახურებიდან ძირითადი დატვირთვა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურზე მოდის. სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

სამსახურის მიერ, გამგეობის სხვა სამსახურებთან ერთად, კოორდინირებული საქმიანობით დაიგეგმა და 2015 წელს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა 2937,94 ათასი ლარის კაპიტალური სამუშაოები, მათ შორის:

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა 1854,9 ათასი ლარის მოცულობის შემდეგი სამუშაოები:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ცენტრის შექმნა"–ხობის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები–(შენობის გადახურვა, ელექტრომომარაგება)–260,2 ათასი ლარის მოცულობით. მათ შორის სამშენებლო სამუშაოებზე–238,8 ათასი ლარი, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე–21,4 ათასი ლარი.

2. ქალაქ ხობის ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები (აღმაშენებლის, წერეთლის სულხან-საბას, თავისუფლების, ვაჟა-ფშაველას, მორცხულავას და სამეგრელოს ქუჩების ასფალტ-ბეტონის საფარის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები)–559,2 ათასი ლარის მოცულობით. მათ შორის, სამშენებლო სამუშაოებზე–544,9 ათასი ლარი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე–14,3 ათასი ლარი.

3. ბიის წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები–126,1 ათასი ლარის მოცულობით. მათ შორის, სამშენებლო სამუშაოებზე–121,6 ათასი ლარი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე–4,5 ათასი ლარი.

4. ხობის №2 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები–317,9 ათასი ლარის მოცულობით. მათ შორის, სამშენებლო სამუშაოებზე–308,5 ათასი ლარი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე–9,4 ათასი ლარი.

5. ხეთისა და თორსა-დღვაბის წყალსადენი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები–517,1 ათასი ლარის მოცულობით (სამშენებლო სამუშაოები).

6. ქალაქ ხობში ჭყონდიდელის ქუჩაზე 60 ბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია–74,4 ათასი ლარის მოცულობით (სამშენებლო სამუშაოები).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2015 წელს, მუნიციპალიტეტისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოიყო 840,96 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეაბილიტირებულია 68 ობიექტი, რისთვისაც ფაქტიურად გახარჯულიქნა 827,1 ათასი ლარი. განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

1. შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია–244,24 ათასი ლარის მოცულობით, სულ 23 ობიექტი (ბიაში–1 ობიექტი, პირველ მაისში–1 ობიექტი, ზემო ქვალონში– 2 ობიექტი, თორსა-დღვაბაში–3 ობიექტი, საჯიჯაოში–2 ობიექტი, ჭალადიდში–4 ობიექტი, ხეთაში–3 ობიექტი, ახალსოფელში–1 ობიექტი, პატარა ფოთში–1 ობიექტი, შავღელეში–1 ობიექტი, საგვიჩიოში–1 ობიექტი, შუა ხორგაში–3 ობიექტი).



ხობის №2 საბავშვო ბაღი

2. ხიდებისა და ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოები–11.61 ათასი ლარის მოცულობით, სულ 2 ობიექტი (ახალ ხიბულაში–1 ობიექტი, ნოჯიხევში - 1 ობიექტი).

3. სასაფლაოების კეთილმოწყობის (შემოღობვა) სამუშაოები–44,90 ათასი ლარის მოცულობით, სულ 5 ობიექტი (ქარიატაში- 1 ობიექტი, გურიფულში–3 ობიექტი, ახალსოფელში–1 ობიექტი).

4. სანიაღვრე არხების ამოწმენდის სამუშაოები–61,22 ათასი ლარის მოცულობით, სულ 12 ობიექტი (ძველ ხიბულაში–1 ობიექტი, ხეთაში–3 ობიექტი, ზემო ქვალონში–1 ობიექტი, ნოჯიხევში–3 ობიექტი, ქვემო ქვალონში–2 ობიექტი, ქარიატაში–2 ობიექტი).

5. წყლის სისტემების რეაბილიტაცია–15,89 ათასი ლარის მოცულობით, სულ 2 ობიექტი (ხეთაში–1 ობიექტი, პირველ მაისში–1 ობიექტი).

6. სკოლამდელი დაწესებულების (საბავშვო ბაღები) სარემონტო სამუშაოები– 417,34 ათასი ლარის მოცულობით, სულ 18 ობიექტი (ახალსოფელში–1 ობიექტი, ნოჯიხევში–2 ობიექტი, პირველ ხორგაში–2 ობიექტი, ახალ ხიბულაში–2 ობიექტი, ბიაში–1 ობიექტი, პირველ მაისში–1 ობიექტი, ზემო ქვალონში–2 ობიექტი, საჯიჯაოში–1 ობიექტი, ქვემო ქვალონში–2 ობიექტი, ძველ ხიბულაში–1 ობიექტი, ხამისკურში–2 ობიექტი, ხეთაში–1 ობიექტი).

7. კეთილმოწყობის სამუშაოები (სპორტული მოედნის, ცენტრის კეთილმოწყობის, მოსაცდელის, გარე განათების და სხვადასხვა სახის მცირე მასშტაბის სამუშაოები)–33,09 ათასი ლარის მოცულობით, სულ 6 ობიექტი.

სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციის მიზნით მომზადდა სათანადო წინადადებები და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხებით განხორციელდა 167,3 ათასი ლარის ღირებულებით 7 ობიექტის რეაბილიტაცია, ხოლო მე-8 ობიექტის–გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე გურიფულში ნაპარსამაგრის მოწყობის სამუშაოებისთვის გამოყოფილი 400,0 ათასი ლარის ათვისება მიმდინარეობს მიმდინარე წელს, სათანადო მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ. სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტებისთვის განხორციელებულია შემდეგი სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები:

1. პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საკვიკვინიოს უბანში ღელეზე არსებული ხიდის წარეცხილი ბურჯის გამაგრებითი სამუშაოები–7,59 ათასი ლარის მოცულობით;



2. ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბიაში საცალფეხო ხიდის ბურჯის გამაგრების სამუშაოები–68,14 ათასი ლარის მოცულობით;

3. ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ხობისწყალზე ბონდის ხიდის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, 14,28 ათასი ლარის მოცულობით;

4. სოფელ ძველ ხიბულაში საღურწკაიოს უბანში ხიდის გამაგრების სამუშაოები, 8,59 ათასი ლარის მოცულობით.

5. სოფელ ძველ ხიბულაში საქანთარიოს უბანში ხიდბოგირის აღდგენითი სამუშაოები–4,7 ათასი ლარის მოცულობით.

6. საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში ღელე „ოკურჩხალეზე" წყალდიდობის შედეგად წარეცხილი ხიდის სარეგულაციო ნაგებობისა და სანაპირო ზოლის აღდგენითი სამუშაოები, 31,00 ათასი ლარის მოცულობით;

7. სტიქიის შედეგად დაზიანებულ ობიექტებზე სამშენებლო მასალების შესყიდვა (საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეული), 33.03 ათასი ლარის მოცულობით.

საკუთრივ 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით სამშენებლო-სარემონტო და სხვა მომსახურებებზე გახარჯულია 88,6 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

1. გზების მოვლა-შენახვა–30,0 ათასი ლარის მოცულობით.

2. მინი სტადიონების მოვლა-შენახვის სამუშაოები, 14.76 ათასი ლარის მოცულობით;

3. ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება 0,85 ათასი ლარის მოცულობით.

4. ქ. ხობში სტალინის ქუჩაზე სანიაღვრე არის მოწყობის სამუშაოები–2,04 ათასი ლარის მოცულობით;

5. ჭალადიდის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები–4.74 ათასი ლარის მოცულობით.

6. ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩა №185-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის დაზიანებული სახურავის აღდგენითი სამუშაოები 1,47 ათასი ლარის მოცულობით;

7. ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზის აღდგენითი სამუშაოები–8,55 ათასი ლარის მოცულობით.

8. ყოფილ კინოთეატრ „თუთარჩელა"-ს შენობის ვიზუალური დათვალიერებით, ტექნიკური მდგომარეობის დადგენის მიზნით, ექსპერტიზის დასკვნა–2,4 ათასი ლარის მოცულობით;

9. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალსადენი ქსელის სარემონტო სამუშაოები–9,8 ათასი ლარის მოცულობით;

10. გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე გურიფულში ნაპარსამაგრის მოწყობაზე სანებართვო მოსაკრებელი–14.0 ათასი ლარის მოცულობით.

სამსახურის საქმიანობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას ზედამხედველობითი ფუნქცია წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში გაიცა მშენებლობის 11 ნებართვა, განხორციელდა 41 პროექტის შეთანხმება, სამშენებლო მოსაკრებლის მოცულობამ შეადგინა 40,73 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევისთვის დაჯარიმდა 5 იურიდიული და 7 ფიზიკური პირი, შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ოქმები 1,1 ათასი ლარის საჯარიმო სანქციით, ექსპლუატაციაში მიღებულიქნა 9 ობიექტი, მაწანწალა ძაღლების გაყვანის მომსახურებაზე (40 სული) გაწეულიქნა 1,35 ათასი ლარის ხარჯი.

ეკონომიკური პროფილით მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით გამგეობაში მოქმედებდა სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური, რომელიც ამ სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთ ხელშემწყობ ორგანოს წარმოადგენდა. სამსახური უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პო-

6

# ერთად ვიზრუნოთ უკეთესი შედეგების მისაღწევად

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიას ანგარიში 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

5 <<<<<<<<<<


სოციალურად დაუცველებთან


სტიქიით დაზარალებულთა სახლების მშენებლობა

ლიტიკის რეალიზაციისა და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობას, აგროსასურსათო, აგროგადამამუშავებელი, ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების, მემცენარეობის, მეცხოველეობის, მეთევზეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებას, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებული მეურნე სუბიექტებისა და დაინტერესებული პირების დახმარების გაწევას პრობლემების გადაწყვეტაში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2013-2015 წლების მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მიუხედავად რთული კლიმატური პირობებისა, საგაზაფხულო სამუშაოები წარმატებით დასრულდა. სამსახურმა 2015 წელს აქტიური მონაწილეობა მიიღო მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების პროცესში. პროექტის ფარგლებში 12024 ბენეფიციარმა მიიღო დახმარება. სულ ხობის მუნიციპალიტეტში მოიხნა 6498,0 ჰა მიწის ნაკვეთი, მომსახურების ღირებულებამ 1400,0 ათასი ლარი შეადგინა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გავრცელებული მავნებლების წინაამღდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ მოსახლეობას გაეწია პრაქტიკული დახმარება საჭირო ტექნიკის მობილიზაციასა და შესაწამლი ნივთიერების მოძიებაში. მიმდინარეობდა დაკვირვება და კომპეტენციის ფარგლებში დახმარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ვეტერინარულ ღონისძიებებზე (თურქულის, ჯილეხის საწინაამღდეგო აცრები) გროვდებოდა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით აცრილი საქონლის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

სოფლის მეურნეობის სფეროში ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი გადასაჭრელი საკითხების მოგვარებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა სახელმწიფოს მიერ, რომელთა გადაწყვეტისთვის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არაერთი წინადადება იქნა დასმული. ბოლო წლებში, ხობის მუნიციპალიტეტში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალმა უწყებამ შპს „საქართველოს მელიორაცია“ მასშტაბური სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა და ადგილობრივ ფერმერებს ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დანიშნულებისამებრ გამოყენების საშუალება მიეცათ. პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში მაგისტრალურ არხზე, ასევე მოხდა სატუმბი სადგურების №1 (6 ტუმბო) და №2 (3 ტუმბო) რეაბილიტაცია და აღნიშნულ 8350 გრძივი მეტრის არხზე ამოწმენდის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულებამ 2,8 მილიონი ლარი შეადგინა. 2014-2015 წლებში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: შავღელე, ნოჯიხევი, შუა ხორგა, ქვემო ქვალონი, ჭალადიდი, ახალსოფელი, ხეთა.

შეიქმნა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბებას. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია 12 კოოპერატივი, სასოფლო-სამეურნეო სტატუსით. მათ, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეღავათიან ფასში მიიღეს მოტობლოკები და ხელით სათესი აგრეგატები.

ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 12000 ლარი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშთა განახლების უზრუნველსაყოფად. პროექტის ფარგლებში შეძენილიქნა საჭირო ინვენტარი და მასალები.

2015 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში, სამსახურის ორგანიზებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ადმინისტრაციული ერეულების მიხედვით გაიწერა სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისად გურჯაანის მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობას შეღავათიან ფასად მიეწოდა 48 ტონა ყურძენი.

ხობის ერთ-ერთი ქუჩის და თეატრის სახურავის რეაბილიტაცია



გარდა სხვადასხვა პროფილის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული კუთხით, მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობისა და მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, არანაკლები ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტისა და ძეგლთა დაცვის ღონისძიებებს, რასაც გამგეობა კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მეშვეობით ახორციელებს. სამსახური უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში არსებული კულტურის, განათლების, კულტურული მემკვიდრეობის, სასპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარების კონცეფციებისა და პროგრამების მომზადებას, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების მართვას, შესაბამისი დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის საჭირო პირობების შექმნას.

კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნო ის მთავარი ნიუანსი, რაზედაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებს მთავარ აქცენტს. ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროში პრიორიტეტად შერჩეულიქნა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ამ სფეროში მოღვაწე მოქალაქეებს, ახალგაზრდობას, ბავშვებს მიეცეთ საშუალება უფრო მეტად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვრცლად ვისაუბრეთ, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ ამ სფეროების ცალკეულ ობიექტებზე.

კულტურის სახლის შენობა, რომელიც თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, წლების განმავლობაში საჭიროებდა გადახურვას–წვიმდა ოთახებს, რის გამოც შეუძლებელი იყო ნებისმიერი სახის შიდა რეკონსტრუქცია. მუნიციპალიტეტში შემუშავდა „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ ჩამოყალიბების პროექტი, რომლის ფარგლებში განსაზღვრულია კულტურის, სკოლისგარეშე და ხელოვნების სფეროში განათლების მიღებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა ერთიან სივრცეში. ამ პროექტმა ექსპერტების მოწონება დაიმსახურა და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან პროექტი დაფინანსდა 800,0 ათასი ლარით. პროექტის პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა და შენობა სრულად გადაიხურა, გამოიცვალა ელექტროსისტემა, რომელიც ავარიულ მდგომარეობაში იყო და უსაფრთხოების გამო სახანძრო-სამაშველო სამსახურს შენობის დახურვის რამდენიმე დასკვნაც კი ჰქონდა დადებული. ასევე სრულად გამაგრდა ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი კულტურის სახლის ფასადის ბარელიეფი, რომლის სამაგრი სისტემა კოროზიისგან მთლიანად იყო ამორტიზირებული. მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სახლში წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კულტურის სფეროში მუშაობა არ შეფერხებულა.

წლის განმავლობაში კულტურის სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევა ფოლკლორის სახელმწიფო ეროვნული ცენტრის სასწავლო პროგრამით მომუშავე სკოლის ჩამოყალიბება ხობში, რაც აქტიურად გაშუქდა პრესით და ტელევიზიით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მსგავსი სკოლა პირველად შეიქმნა ჩვენს რეგიონში. დღეისთვის ამ სკოლაში ქალაქის და ასევე სხვადასხვა სოფლებიდან დაახლოებით 60 ბავშვი უფასოდ ეუფლება ხალხურ სიმღერას და ქართულ საეკლესიო გალობას. პროექტი სუბსიდირებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ასევე გატარდა საძიებო სამუშაოები სოფლებში მოღვაწე ადამიანთა აღმოჩენის მიმართულებით, რომლის შედეგად თავმოყრილია ასობით ფოლკლორული ნამუშევარი.



მნიშვნელოვნად იყო გამახვილებული აქცენტი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და მასზე ზრუნვისკენ. გასული წლების მსგავსად, 2015 წელსაც, ძეგლთა დაცვის მიმართულებით გაწეულმა სამუშაოებმა მნიშვნელოვანი სურათი წარმოადგინა: ჭიხუს პლატოს მიდამოებში აღმოჩენილია ელინისტური ხანის ნამოსახლარები; ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები დაფიქ-

>>>>>>>>>> 7

# ერთად ვიზრუნოთ უკეთესი შედეგების მისაღწევად

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიას ანგარიში 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

6 <<<<<<<<

სირდა ნოჯიხევში, ხობის რკინიგზის სადგურიდან 2 კმ-ში; ხობის მონასტერთან, სასაფლაოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია შუა საუკუნეების ნაგებობის საკმაოდ კარგად შენახული შენობა; ასევე, ნოჯიხევში აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის არტე-ფაქტები. ხობის კულტურის სფეროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა ფოთისა და ხობის ეპარქიას. გამოიცა წიგნი ხობის მუნიციპალიტეტის წარსულის შესახებ, რომლის ავტორია გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ისტორიკოსი გოგიტა ჩიტაია.

2014-2015 წლების მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს წმინდა ილია მართლის პრემიის მფლობელების პოეზიისა და ხატმწერების, მხატვრების სტუმრობა ხობში. პროექტი უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის კურთხევით მიმდინარეობს. ხობის მუნიციპალიტეტი პროექტის ოფიციალური პარტნიორია და ამ მნიშვნელოვანი ტრადიციის ჩამოყალიბებამ ხობი ბევრ ცნობილ ადამიანს დააახლოვა. ხობელ შემოქმედებს შესაძლებლობა ეძლევათ წარსდგნენ ფართო აუდიტორიის წინაშე.

არაერთი ღონისძიება ჩატარდა კულტურის სფეროში, ესენია: ცნობილი ქართველი მსახიობის მურმან ჯინორიას მონო სპექტაკლი; ანიმაციური ფილმების ფესტივალ „ექოთოფუზის" ფარგლებში ვორკშოპი ნორჩ მხატვართა წრის მოსწავლეებთან; მოსწავლეთა სახლის ნორჩ ჟურნალისტთა, გამომეტყველებითი კითხვის წრის ლიტერატურული ღონისძიებები, გობელენისა და ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები, უნარშეზღუდული გოგონას მარიამ ადონიას მხარდასაჭერი საკონცერტო პროგრამა, რომელმაც კიდევ ერთხელ გააერთიანა ჩვენი საზოგადოება და შესანიშნავი კონცერტის ფარგლებში გოგონას ანგარიშზე სოლიდური თანხა იქნა მობილიზებული.

ტრადიციულად ჩატარდა საეკლესიო-სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა", სადაც პირველად მიიღეს მონაწილეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის შემოქმედებითმა კოლექტივებმა, მოეწყო საგამოფენო კუთხეები. ცოტნეობის ფარგლებში ჩატარდა პირველი სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები. წელს ხობის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა ისტორიკოს გოგიტა ჩიტაიას და მომღერალსა და ლოტბარს რეზო თოდუას.

მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსების სისტემით კეთილმოაწყო თორსა-ღლავაბის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართული საკონფერენციო და საკონცერტო დარბაზის სახით, სადაც სწავლებას გადიან რამდენიმე სოფლის ბიბლიოთეკისა და კლუბის სპეციალისტები. ხობელი მოსწავლეებისთვის 2960 ლარით დაფინანსდა პროექტი „ეტალონი", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხობის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა.

ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა ჩვენს ქვეყანაში სპორტი. ჩვენი მუნიციპალიტეტი გამორჩეული იყო სპორტული ბიოგრაფიით, როგორც სპორტული ბაზებით, ასევე სახელოვანი სპორტსმენებით. 2015 წელს მუნიციპალიტეტში მრავალი სპორტული ღონისძიება ჩატარდა ახალგაზრდებისა და მოსახლების ფართო მასების ჩაბმის მიზნით. აღსანიშნავია და უმთავრესი, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების მხრივ ჩვენი მუნიციპალიტეტი განიცდის კრიზისს, არსებული სპორტული მოედნები არ შეესაბამება სტანდარტებს, ხოლო წვრთნები სხვადასხვა სახეობებში ტარდება საჯარო სკოლების სპორტულ დარბაზებში.

ხობელი სპორტსმენებისთვის გამარჯვებები არ ყოფილა იშვიათი, მაგრამ შედეგი, რომელიც საანგარიშო პერიოდს ემთხვევა, როგორც მთელი ქვეყნისთვის, ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე საამაყო და დასაფასებელია. სპორტის სხვადასხვა სახეობაში ხობელ სპორტსმენებს არაერთი მსოფლიო, ევროპის, საერთაშორისო თუ რესპუბლიკური ტურნირების მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ მოპოვებული. 2015 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის მოსწავლეების საქართველოს ნაკრები გუნდის წევრების ნუგზარ წურწუმიას, ჯონი ხეცურიანის, ირაკლი ნაკაშიას, ნიკა ყორშიას და საერთაშორისო ტურნირის პრიზიორების თემურ გოგოხიას, გოგა პერტახიას, გიორგი სოსელიას შედეგები იყო. მსოფლიო და ევროპის მაღალი ჯილდოები მოიპოვეს ხობელმა მკლავჭიდელებმა გოჩა სიჭინავამ და ანრი ბუკიამ. სასიხარულოა, რომ ხობში აღზრდილმა სპორტსმენებმა გენადი კვიკვინიამ და ვილენ გაბრავამ კიდევ ერთხელ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა. საქართველოს ჩემპიონატებზე და რეგიონალურ შეჯიბრებზე საპრიზო მაჩვენებლები ჰქონდათ მძლეოსნობის ჯგუფის მოსწავლეებს გრიგოლ ახალაიას და მარიამ შონიას. ჯგუფის წევრებისა და მწვრთნელების საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებზე მივლინება დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ჭადრაკის ჯგუფის მოსწავლეებმა ლუკა შამუგიამ, გიორგი ლატარიამ, სანდრო ბუკიამ, ამირან შონიამ, რესპუბლიკურ და რეგიონალურ ტურნირებზე საპრიზო სარეიტინგო მაჩვენებლები მოიპოვეს. აქტიურად წარმართავენ მუშაობას ნორჩი მოკრივეები და მწვრთნელ-მასწავლებლები. საინტერესო შედეგებს აღწევენ ბილიარდის ჯგუფის მოსწავლეები, რომელთა შორის აუცილებელია აღინიშნოს ლუკა ლოლუა და ბილიარდის ფედერაციის მიერ „ვუნდერკინდად" აღიარებული სანდრო ჩიტაიას მნიშვნელოვანი შედეგები. 1999-2003 წლებში დაბადებულ ნორჩ მორაგბეთა 3 გუნდი დღევანდელი მონაცემებით წარმატებით ასპარეზობს საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ დასავლეთ საქართველოს გოგონათა და ჭაბუკთა საფესტივალო ასაკების გუნდების შეჯიბრებებში. ღირსეული წარმატებები აქვთ ჭიდაობა-სამბოსა და ძიუდოს ჯგუფის სპორტსმენებს.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამგეობის შესაბამისი სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა მუნიციპალური ტურნირები, რომლის საერთო ღირებულებამ 14,2 ათასი ლარი შეადგინა.

წარმატებული იყო საფეხბურთო წელი–ფეხბურთელები გადიოდნენ ინტენსიურ წვრთნებს. განხორციელდა პროექტი სპორტის მიმართულებით, რომლის მიხედვით გაერთიანდა ბავშვთა საფეხბურთო სკოლა და საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი". გათვალისწინებულია ახალგაზრდული პროექტების განხორციელება, ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის შეიქმნება სათანადო პირობები. ასე, რომ 2016 წელს, ჩვენ განახლებული, გაერთიანებული საფეხბურთო სტრატეგიით განვაგრძობთ მუშაობას. მით უფრო, რომ გვაქვს შესანიშნავი პერსპექტივა. ხობის ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონს 2015 წელს უკვე გადაეცა 1500 სკამი და სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები დამატებით ფინანსდება 500,0 ათასი ლარით, რასაც ათწლეულებია ელოდებიან ფეხბურთის მოყვარულები და სპორტსმენები.



ქალაქის რეაბილიტირებული ქუჩა



თორსის საქტო დარბაზი





ქალაქის ქუჩების რეაბილიტაცია



შავღელეს ამბულატორია

>>>>>>>> 8

# ერთად ვიზრუნოთ უკეთესი შედეგების მისაღწევად

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიას ანგარიში 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

7 «««««

საინტერესო პროექტი განხორციელდა ბავშვთა ფეხბურთში–სახალისო ფეხბურთის ფარგლებში გაიმართა ტურნირი, რომელშიც საჯარო სკოლის ორასმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. პროექტი საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და ხობის საზოგადოებისთვის საინტერესო სპორტული სანახაობა მოეწყო.

სწორედ ასეთი შედეგების არგუმენტით, მუნიციპალიტეტმა მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ხობის მუნიციპალიტეტისთვის გადმოეცა ყოფილი კინოთეატრ „თუთარჩელას" შენობა. პარალელურად მომზადდა საპროექტო წინადადება, რომლის თანახმად, ყოფილი კინოთეატრის შენობაში განთავსდება სავარჯიშო დარბაზები, შეიქმნება საკონფერენციო სივრცეები, კინო-დარბაზი, ბილიარდის, ჭადრაკის, სპორტის მრავალი სახეობისთვის სავარჯიშო ზონები. ხობი უმასპინძლებს რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებს.

ასევე მნიშვნელოვანი სიახლეებია განათლების სფეროშიც: 2015 წელი ჩვენ გამოვაცხადეთ „ბაღების წლად". ეს არ იყო მხოლოდ პირობითი დამოკიდებულება. სწორად განისაზღვრა ბაღებში ექიმის აუცილებელი საჭიროება და მიღებულიქნა გადაწყვეტილება საბავშვო ბაღებს დამატებოდა ექიმ-პედიატრის შტატი. ექიმების კონსულტაციის შედეგად შემუშავდა სრულფასოვანი მენიუ, მოზარდისთვის აუცილებელი კვებითი და ენერგეტიკული ღირებულების გათვალისწინებით. საბავშვო ბაღების უმრავლესობა ახალი სამზარეულო მოწყობილობითა და ინვენტარით არის აღჭურვილი, თუმცა რამდენიმე ბაღში გამოსასწორებელია არსებული რთული სიტუაცია. მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემის ერთბაშად გადაწყვეტა კონკრეტულ ვადებს მოითხოვს და პრობლემები სირთულის მიხედვით ეწყობა და პრიორიტეტი ანალიზის შედეგად ენიჭება.

ალბათ, ვისაც გაქვთ შეხება ბაღებთან, თქვენი შვილების, შვილიშვილების სახით, დამეთანხმებით, რომ ხელისუფლებამ არა მხოლოდ უფასო გახადა ბავშვებისთვის საბავშვო ბაღები, არამედ სრული მობილიზებით დაიწყო ზრუნვა უსაფრთხო გარემოზე. კვების სისტემას მუდმივად აკონტროლებს სურსათის ეროვნული სააგენტო, სადეზინფექციო სამუშაოებს ყველა საბავშვო ბაღში ახორციელებს სადეზინფექციო ცენტრი.

მუნიციპალიტეტის 14 საბავშვო ბაღში რადიკალურად შეიცვალა ათწლეულების განმავლობაში არსებული მდგომარეობა. სტანდარტების შესაბამისად მოეწყო კვების ბლოკები, გარემონტდა



წარმატებულ სპორტსმენებთან

საძინებელი ოთახები და სამზარეულო, გაფართოვდა სამეცადინო ოთახები, მოწესრიგდა სველი წერტილები, მოწესრიგდა წყლით მომარაგება, გადაიხურა შენობები, გამოიცვალა კარ-ფანჯრები, შემოიღობა ეზოები.



ილია მართლის პრემიის ნომინანტები

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით არსებული მძიმე სურათი, რომელიც ხელს უშლიდა საბავშვო ბაღებში ბავშვებისთვის კომფორტულ გარემოში სწავლებისა და აღზრდისთვის საჭირო პირობებს, რეალურად ბოლომდე აღმოიფხვრა, მაგრამ ფაქტია, რომ მნიშვნელოვნად ბევრი რამ გაკეთდა.

განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავთ ხობის №2 საბავშვო ბაღის სრულ რეაბილიტაციას. ძალიან ბევრს არ სჯეროდა, რომ პროექტი რეალურად განხორციელდებოდა. ეს იყო ბაღი, სადაც ფანჯრები არ იღებოდა და ვერ იხურებოდა, ეს იყო შენობა, სადაც ძალიან ცუდ პირობებში უხდებოდათ ძილი და დასვენება ბავშვებს და შრომა აღმზრდელებს. თუმცა, არაჩვეულებრივი ღონისძიებებით მაინც ახარებდნენ მშობლებს. დღეს ჩვენ მათთან ერთად გვახარებს შედეგი, რაც 317,9 ათასი ლარის დაფინანსებით არის სახეზე. ამ წარმატებულმა პროექტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ თუ პრიორიტეტი სწორად იქნა შერჩეული, შედეგი აუცილებლად იქნება წარმატებული.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას და შესაძლებლობის ფარგლებში მათთვის სათანადო დახმარების გაწევას. ამ კუთხით გამგეობა თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის მეშვეობით.

სამსახური უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, თვითმმართველი ერთეულის დაქვემდებარებაში არსებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მართვას და დამტკიცებული პროგრამების განხორციელებას მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და უმუშევართა, ვეტერანთა და ლტოლვილთა სოციალური დახმარების საკითხებში.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფონდირებული სოციალური დახმარებისათვის გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულად, ეფექტურად და სრულყოფილად დაგეგმვა-განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტში ბოლო რამდენიმე წელია, მუშავდება ერთიანი სოციალური და ჯანდაცვის დახმარების მუნიციპალური პროგრამა, რომელიც 2015 წელს 371,4 ათასი ლარით განისაზღვრა, აქედან სოციალური პაკეტი–346,8 ათასი ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი–24,6 ათასი ლარით.

სოციალური პაკეტიდან ერთჯერად ფულად დახმარებებზე გათვალისწინებული იყო 55,0 ათასი ლარი, 560 განმცხადებელზე გაცემულია 51,5 ათასი ლარის ფულადი დახმარება.

საოპერაციო დახმარებებზე გამოყოფილი იყო 59,8 ათასი ლარი, 101 ავადმყოფის განცხადების განხილვის შედეგად დაკმაყოფილდა 98 და გაიცა 59,8 ათასი ლარის თანადაფინანსების საგარანტიო წერილი.

ახალშობილთა დახმარებაზე პროგრამით გათვალისწინებული იყო 450 ახალშობილის დახმარება თანხით 49,0 ათასი ლარი. 304 ახალშობილზე გაცემულია 43,6 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში პირველ და მეორე ბავშვზე გათვალისწინებულია 100-100 ლარი, ხოლო მე-3 და ზევით–თითოეულზე 300 ლარი.

პროგრამით გათვალისწინებულ მრავალშვილიანთა (18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი) დახმარების სახით, სარვამარტოდ 70 პირზე გაიცა 10,5 ათასი ლარი.

დედ-მამით ობოლ 3 ბავშვზე, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით გაიცა 450 ლარი.

ომის ვეტერანებისთვის გათვალისწინებული დახმარების ფარგლებში, საცხრამაისოდ 10 ვეტერანზე გაიცა 1,5 ათასი ლარი.

უმწეოთა სასადილო დაფინანსდა 69,3 ათასი ლარით. პროექტის ფარგლებში დღეში 1-ჯერ უფასოდ იკვებება 120-მდე უმწეო კატეგორიის მოქალაქე.

სარვამარტოდ ასევე დაფინანსდა 100 წელს გადაცილებული 4 ქალბატონი, რომელთაც დახმარების სახით ჩაერიცხა 600 ლარი.

უმწეო კატეგორიის მოსახლეობისთვის პროგრამით გათვალისწინებულია წყლის საფასურის სუბსიდირება 6,0 ათასი ლარის ოდენობით 90 ოჯახზე, წლის განმავლობაში დაფინანსებულია 3,6 ათასი ლარის ხარჯი.

გარდაცვლილი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯების სახით გახარჯულია 1500 ლარი 6 გარდაცვლილ ვეტერანზე, ასევე გარდაცვლილი დევნილის დაკრძალვის ხარჯი დაფინანსდა 800 ლარით, 8 გარდაცვლილ დევნილზე.

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ და დამეწყრილ ოჯახზე გამოყოფილი სახსრებიდან დახმარება გაეწია 13 დაზარალებულს, თანხით–13,3 ათასი ლარი.

უნდა გამოვყოთ ახალი პროგრამა, რომელიც ამოქმედდა 2015 წელს და ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დანგრეული სახლების სარეაბილიტაციო დახმარებას. ამ მიზნებისთვის ერთჯერადი დახმარების სახით გამოყოფილი იყო 40,0 ათასი ლარი. კომისიის მიერ შესწავლილიქნა 21 ოჯახი, რომელთაც დახმარება გაეწიათ 35,0 ათასი ლარის ოდენობით.

2015 წელს ჩერნობილის ტრაგედიის 17 დაზარალებულს, ჩერნობილის ტრაგედიის დღესთან დაკავშირებით ერთჯერადად გამოეყო 1700 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4 ათასამდე იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 1766 კომპაქტურად არის ჩასახლებული, ხოლო 2234 კერძო სექტორში ცხოვრობს. მათ ერთჯერადი და საოპერაციო და სხვა პროგრამით გათვალისწინებული დახმარებები ეძლევათ ისევე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის არის გათვალისწინებული.

2014 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტში დაფინანსდა ერთი ახალი ამბულატორია სოფელ შავღელეში, 2015 წლის სექტემბრიდან ამბულატორია ფუნქციონირებს და ათწლეულების განმავლობაში შავღელეს მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემა, ექიმის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, მოგვარებულია.

მუნიციპალიტეტის მხრიდან ექსკლუზიური უფლებებით ხორციელდება ჯანდაცვის დამატებითი ექიმამდელი დახმარების პროგრამა, რომელიც შეიმუშავა სამსახურმა სოფლის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ, მოსახლეობის რაოდენობით მიხედვით პატარა სოფლების მაცხოვრებლებს ეწევათ ექიმამდელი დახმარება, რისთვისაც თანადაფინანსების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 23,4 ათასი ლარი.

ადგილობრივ თვითმმართველობას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისა, სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული აქვს სხვადასხვა უფლებამოსილების განხორციელების უფლება. მათ შორისაა მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება, რომელსაც ახორციელებს წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღ-

»»»»» 9

# ერთად ვიზრუნოთ უკეთესი შედეგების მისაღწევად

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიას ანგარიში 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

8 «««««««



„ცოტნეობის“ დღესასწაული



რიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური. სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევას, მობილიზაციისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

2015 წლის დასაწყისში განხორციელდა 1998 წელს დაბადებულ იმ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომელთაც სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისას შეუსრულდათ 17 წელი. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილიქნა მათთან მომუშავე (მოსწავლე), 1998 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები, რომელთა მიხედვითაც, მათმა საერთო რაოდენობამ 222 ჭაბუკი შეადგინა. თითოეულ ჭაბუკზე შეიქმნა პირადი საქმე სათანადო დოკუმენტაციის მოთავსებით. პარალელურად, პირველად შეიქმნა 1998 წელს დაბადებული ჭაბუკების სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ანბანური წიგნი. სამართალდამცავი ორგანოებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოთხოვილიქნა იმ ჭაბუკთა სახელობითი სია, რომლებიც იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე. შედეგად, აღრიცხვაზე აყვანილიქნა 209 ჭაბუკი, მათ შორის, აფხაზეთიდან დევნილი 15 ჭაბუკი. პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასევე აყვანილია 1991 წელს დაბადებული 1 წვევამდელი, რომელიც წლების განმავლობაში არ იყო გამოცხადებული ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში.

2015 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის პერიოდში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულიქნა 18–დან 27 წლამდე ასაკის ის მოქალაქეები, რომლებსაც არ ჰქონდათ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების, ან მისი გადავადების უფლება. გაწვეულია 48 წვევამდელი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამსახურებში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ დანაყოფებში. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 34 წვევამდელი. ზღვრული ასაკის შესრულების გამო, მეორე თანრიგის რეზერვში ჩაირიცხა 95 წვევამდელი. კანონით დადგენილი შეღავათი გაუფორმდა 172 წვევამდელს. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო 1 წლამდე ვადით გადავადება მიეცა 20 წვევამდელს. სამხედრო სამსახურისთვის შეზღუდულადვარგისად ცნობილ იქნა 60 წვევამდელი. ცნობილიქნა უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნით 3 წვევამდელი. გამოკვლევაზე გაიგზავნა 6 წვევამდელი. 2015 წლის მანძილზე სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 341 რეზერვისტი. სხვადასხვა მიზეზების გამო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 332 რეზერვისტი. ზღვრული ასაკის გამო აღრიცხვიდან მოიხსნა 308 რეზერვისტი. გარდაიცვალა 8 რეზერვისტი.

სამსახურის საქმიანობა კოორდინირებულად ხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად და სამსახურის წარმატებული საქმიანობისთვის მადლობა ოფიციალურად იქნა გამოცხადებული.

2014 წლის 1 აგვისტოდან, ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საქმიანობის შიდა კონტროლის მიზნით, გამგეობაში შეიქმნა შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური.

სამსახურის მიზანია, უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა და კანონიერება, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობის ხარჯვისა და გამოყენების კანონიერება, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდა. სამსახური ფუნქციურად დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში და ანგარიშვალდებულია გამგებლის წინაშე. სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და „ჰარმონიზაციის ცენტრთან“. სამსახურის ჩამოყალიბების პირველივე ეტაპზე შედგა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები ხობის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. 2015 წლისთვის შედგა სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც უზრუნველყოფილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მიმდინარე და კომპლექსური კონტროლი.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მიერ 2015 წლის სამუშაო გეგმის საფუძველზე ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებული 7 არასამეწარმეო და არაკომერციული იურიდიული პირში, 1 შპს-ში და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 6 სტრუქტურულ ერთეულში. ესენია: შპს „ხობის მოამბე“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი, ა(ა)იპ „სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახური, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.



საქველმოქმედო კონცერი



მეგრული სიმღერების საერთაშორისო ფესტივალი

შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის 2015 წლის გეგმაში განსაზღვრული აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტებიდან შიდა აუდიტორული ანგარიში გამოიცა 1 შპს-ზე, 7 ა(ა)იპ-სა და 1 სამსახურზე, ხოლო, რაც შეეხება ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურსა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურს, მათი ანგარიშები შემუშავების პროცესშია.

გარდა აღნიშნული ფუნქციებისა, შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახურის მეშვეობით კონტროლდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში მოსამსახურეთა ქცევის წესები, დისციპლინა და კანონიერებისა და სამსახურებრივი მოვალეობების დაცვის საკითხები.

წინამდებარე ანგარიშში დეტალურად გაანალიზდა გამგეობის იმ სამსახურების საქმიანობა, რომელთა საქმიანობა უშუალოდ აისახება მუნიციპალიტეტსა და მის მოსახლეობაზე. რაც შეეხება შიდა სამსახურებრივ საქმიანობას და გამგეობის სამსახურების საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, მას ახორციელებს ადმინისტრაციული სამსახური, სადაც აღირიცხება და ფიქსირდება გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მონაცემები თითოეულ მიმართულებაზე. ადმინისტრაციული სამსახური ახორციელებს გამგეობის საქმიანობის ორგანიზაციულ, ანალიტიკურ, საინფორმაციო, სამართლებრივ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. მისი ძირითადი ფუნქციაა გამგეობაში ერთიანი საქმისწარმოების, საკადრო საკითხთა, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმიანობას სამართლებრივი უზრუნველყოფა, გამგეობის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა ფუნქციებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა შესრულებისთვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, გამგეობის კავშირურთიერთობების ორგანიზება საზოგადოებასთან და დაწესებულებებთან.

წარმართული საქმიანობის შედეგებით, ანგარიშში აღწე-

»»»»»»» 10

# ერთად ვიზრუნოთ უკეთესი შედეგების მისაღწევად

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გოჩა ქაჯაიას ანგარიში 2015 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

9

რილ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამსახურში 2015 წლის განმავლობაში აღრიცხულია გამგეობაში შემოსული და გამგეობაში შექმნილი 9559 კორესპონდენცია, აქედან: 4615–შემოსული კორესპონდენციაა, 2218–გასული კორესპონდენცია, ხოლო 2726–შიდა კორესპონდენცია. შემოსული კორესპონდენციიდან უდიდესი ნაწილი პასუხგაცემულია, მოხსნილია კონტროლიდან და შესაბამისი პასუხები დაგზავნილია დანიშნულებისამებრ. მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2013-2014 წელს გამოცემული ბრძანებების ნუსხა და საძიებლის სახით დაკომპლექტდა ცალკე საქმედ. ასევე, დამუშავდა და კანონმდებლობით დადგენილი წესით აიკინძა 2013-2014 წლებში გამოცემული ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებები და 2012-2013 წლების კორესპონდენცია.

ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა გამგეობის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა. 2015 წლის განმავლობაში მომზადდა და გამოიცა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 1171 ბრძანება, საკრებულოს განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა სამსახურის მიერ, ან სამსახურის თანამონაწილეობით გამგეობის სამსახურების მიერ მომზადებული საკრებულოს დადგენილების 24 პროექტი და საკრებულოს განკარგულების 57 პროექტი. სხვადასხვა სახის სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო გამოიცა 36 იურიდიული დასკვნა პირგასამტეხლოს დაკისრების ან პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ. მოსამსახურეები საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის ინტერესებს იცავდნენ და არაერთგზის მონაწილეობდნენ სასამართლო განხილვებში 6 სასამართლო პროცესის ფარგლებში. გარდა გამგეობის სამსახურების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფისა, ხშირი იყო მოქალაქეთა მომართვები. მათ ეძლეოდათ სათანადო განმარტებები და იურიდიული დახმარება.

უნდა აღინიშნოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ახალი ვალდებულებების გათვალისწინებით, განხორციელებული საქმიანობა საჯარო კონკურსებისა და ატესტაციების ორგანიზებისათვის. მომზადდა სათანადო დოკუმენტაცია და 2014 წლის დეკემბრიდან, 2015 წლის განმავლობაში სამ ეტაპად განხორციელდა საჯარო კონკურსები გამგეობის მოხელეთა 99 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა დასანიშნად. პარალელურად, გამგეობის 30 მოხელეს ჩაუტარდა ატესტაცია, რომლის ფარგლებშიც გამგეობაში დასაქმებულთა მხრიდან მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები. ჩატარებული კონკურსები და ატესტაცია საკრებულოს აპარატთან და ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედ კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით მაღალ დონეზე ჩატარდა.



ხიბულის გზის მშენებლობაზე

კანონმდებლობით გათვალისწინებული ახალი რეგულაციების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოხელეთა სწავლებისა და გადამზადების საკითხს. „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილებისა და საჯარო სამსახურის ბიუროსა და სსიპ „ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრიდან“ მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, დამუშავდა მასალები ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა 2016 წლის სასწავლო გეგმის განსასაზღვრად - შედგა ტრენინგსაჭიროებათა განსაზღვრისთვის განკუთვნილი მონაცემთა ბაზები, რომლის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი გეგმის პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს. ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის ფარგლებში 2016 წლის განმავლობაში გამგეობის და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა დიდი ნაწილი აიმაღლებს კვალიფიკაციას.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული გამგეობის საქმიანობის პროცესში მოსამსახურეთათვის სათანადო პირობების შექმნისათვის, რაც გამოიხატება როგორც მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით სათანადო აღჭურვისთვის მიმართული საქმიანობით, ასევე თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სიახლეების დანერგვის ორგანიზებით. ამ მიმართულებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროგრამის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტი 6 სხვა მუნიციპალიტეტთან ერთად შერჩეულია საპილოტე მუნიციპალიტეტად, რომლის ფარგლებშიც 2015 წლის 12 ოქტომბრიდან გამგეობა საქმისწარმოების პროცესში გადავიდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაზე. გასულ პერიოდში, ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვისათვის ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არაერთი საორგანიზაციო საკითხი იქნა მოგვარებული, მათ შორის ძირითადი–ადმინისტრაციულ შენობაში დასრულდა სამსახურების ტექნიკური აღჭურვა და შენობის ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტი ითვალისწინებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოქალაქეთა და დაინტერესებულ პირთა განცხადებების ელექტრონულად მიღებას და ოპტიმალურ ვადებში განხილვას. სათანადო მატერიალურ-ტექნიკური მზადყოფნის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოლიდური თანხები იქნა მიმართული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მოქალაქეთა მისაღების მოწყობის, ადმინისტრაციულ შენობაში ქსელური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და მოსამსახურეთა კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვისთვის. მთელი წლის მანძილზე აქტიური კონსულტაციები და შეხვედრები მიმდინარეობდა სააგენტოსთან სათანადო სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფისთვის, რის შემდგომაც ივლისში, აგვისტოსა და ოქტომბერში სააგენტოს მიერ განხორციელდა მოსამსახურეთა გადამზადება ელექტრონული ტექნოლოგიების ასათვისებლად. უახლოესი პერიოდისთვის ადგილობრივ თვითმმართველობას საშუალება ექნება ახალი სერვისები შესთავაზოს მოსახლეობას, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც საზოგადოებასთან კომუნიკაციას, ასევე მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მომსახურების ხარისხს.



სოფელ ძველ ხიბულაში ხიდის გამაგრების სამუშაოები

წინამდებარე ანგარიშით აშკარად ჩანს ის პოზიტიური შედეგები, რაც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობით არის მიღწეული და ასევე აშკარად იკვეთება მცდელობა შემდგომი ეტაპებისთვის უკეთესი შედეგების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად ყურადღება გამახვილდა პოზიტიურ შედეგებზე, ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების საშუალებას, ვინაიდან საქმიანობის პროცესში ხშირია ასევე შეფერხებები და ნაკლოვანებები, რომელთა უმეტესობა ოპერატიულად გვარდება, თუმცა გარკვეული ნაწილი ანალიზს საჭიროებს სათანადო რეაგირების გზების შესამუშავებლად.

მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნდეს კომპეტენციების ფართო სპექტრი, რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ დონეზე ოპერატიულად მოგვარდეს მათთვის აქტუალური საკითხები. ამის საშუალებას უკვე იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გარდა თვითმმართველობებისთვის 2015 წლამდე მინიჭებული უფლებამოსილებებისა, მათ გადაეცა ფუნქციები ისეთი სფეროების რეგულირებისა, როგორიცაა დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა და ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა.

დამეთანხმებით, ამ ცვლილებებით ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევების წინაშე დადგა და საზოგადოებასთან ერთად მრავალ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მოუწევს გადაწყვეტილებების მიღება და ამ გადაწყვეტილებების აღსასრულებლად ახლებურად მუშაობა.

გარდა დღევანდელ ანგარიშში ჩამოთვლილი საქმეებისა, მრავლად არის ისეთი საკითხები, რომელთა ნაწილი იდეის დონეზეა, ხოლო ნაწილის რეალიზებისთვის აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. განხორციელებული თითოეული საქმე დიდი შრომის შედეგად არის მიღწეული რომელშიც აქტიურად იყო და არის ჩართული საზოგადოების ფართო სპექტრი.

ჩვენი მიზანია მაქსიმალურად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის და ამ მიზნების განხორციელებისათვის მაქსიმალური ხელშემწყობი გარემო შევქმნათ.

## სოფელი

# „ხალხი იმედით ცხოვრობს“

***ნომრის სტუმარია ზვიად გვარამია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში.***



***ყველა საქმე შედეგებით ფასდება. თქვენ როგორც გამგებლის წარმომადგენელი ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, როგორ შეაფასებდით თქვენი და მოსახლეობის გადაწყვეტილებით გაკეთებულ საქმეებს.?***

—მართალია, სოფელი დიდი და მრავალრიცხოვანია, ამდენად, რეალობაა, რომ პრობლემები და მოთხოვნები შესაბამისად მრავლადაა. იმას, რაც მევალება, ასე მგონია, მაქსიმალურად ვაკეთებ, მინდა კარგი მედიატორი ვიყო სოფლის მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს შორის. სოფლის მოსახლეობისა და ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილებით ბევრი კარგი და სასარგებლო საქმე გავაკეთეთ.

2015 წელს ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიწმინდა გზის 8 კილომეტრიანი მონაკვეთის სანიაღვრე არხი, რომელმაც ფაქტიურად სული ჩაუდგა საჭოჭუოს უბნის მოსახლეობას. მოხდა სოფლის მთლიანი ელექტროგამრიცხველიანება, შეიცვალა ქსელის შიდა ბოძები. თითქმის მთლიანად გამოიცვალა წყალმომარაგების სისტემა (დამონტაჟდა ახალი ჭები, გამოიცვალა მილები). სოფლის ცენტრს დაემატა კიდევ ერთი ლამაზი შენობა (პოლიცია). ასევე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ მოიხრეშა შიდა სასოფლო გზები.

***გვესაუბრეთ იმ პრობლემებზე, რაც დღეს სოფელში არსებობს, ასევე პრიორიტეტებზე—წინ წამოსაწევ საკითხებზეც.***

—რაც შეეხება პრობლემებს, პირველი და ყველაზე დიდი პრობლემა არის უმუშევრობა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უმუშევარია, სოფელში ისევ არის უგზოობის პრობლემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბაჟოს უბნის (სკოლამდე მისასვლელი) გზის მონაკვეთი, სასაფლაოსკენ მიმავალი გზა კი უამინდობის დროს ფეხით მოსიარულეთათვის ფაქტიურად გაუვალია. პრობლემად რჩება არხების ამოწმენდაც. საღვამიჩაოს უბნის 1 კილომეტრიან მონაკვეთს არ მიეწოდება წყალი. აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ნაწილობრივ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ვცდილობთ. მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ძალიან დიდი პრობლემის წინაშე დგანან სოციალურად შეჭირვებული ოჯახები, რომელთაც მოუხსნეს საარსებო მინიმუმი, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების შუამდგომლობის მიუხედავად, ეს ოჯახები საარსებო მინიმუმის გარეშე დარჩნენ. სოფელს ამბულატორიაც არა აქვს.

***გაზაფხულია, მინდვრის სამუშაოები ძალაში შევიდა. თქვენთან რამდენი ჰექტარი ფართობი უჭირავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. ალბათ უკვე დაურიგდა მოსახლეობას ხვნის ბარათები?***

—ჭალადიდში სულ 1014 ჰექტარი საყანე ფართობია. მოსახლეობას სახნავი ბარათები უკვე მიღებული აქვთ, გამოდარებისთანავე დაიწყება საგაზაფხულო სამუშაოები. ასე, რომ ტემპიანი მუშაობით ყველაფერს შევძლებთ.

***დაიწყო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება. თქვენი და მოსახლეობის გადაწყვეტილებით, რა სამუშაოებია გათვალისწინებული მიმდინარე წელს?***

—„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ წელს სოფელ ჭალადიდს 64447 ლარი გამოეყო. მოსახლეობის გადაწყვეტილებით იგეგმება საბაჟოს უბანში 2,5 კილომეტრიან გზის მონაკვეთზე, საჭოჭუოს უბანში სანიაღვრე არხის ამოწმენდა, ასევე, სარემონტო სამუშაოები 2,5 კმ შიდა გზას ჩაუტარდება, 1 კმ სიგრძის სანიაღვრე არხის ამოწმენდაა გათვალისწინებული ორი ხიდ-ბოგირის მოწყობით, საქორქიოს მოსახლეობის გადაწყვეტილებით საღვამიჩაოს უბანში. 1,5 კმ შიდა გზის ორმული შეკეთება მოხდება. თითოეული უბნიდან მორჩენილ თანხას დაემატება მათი უბნის თანხაც, რაც მოხმარდება ჭალადიდის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებს.

***ბატონო ზვიად, თქვენზეც გვიამბეთ, ვინ ხართ და საიდან მოდიხართ. სად გიმუშავნიათ და ამჟამად ამ სტატუსით რამდენი ხანია მუშაობთ?***

—დავიბადე 1975 წლის 3 ნოემბერს, 1992 წელს დავამთავრე ჭალადიდის საშუალო სკოლა, იმავე წელს სწავლა გავაგრძელე ქ. ფოთის ჰიდრმელიორაციულ ტექნიკუმში, შემდეგ თ.ს.სუ. ქ. ფოთის ფილიალის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 2003 წელს სამართალმცოდნეობის სპეციალობით დავამთავრე. 2003-2006 წწ. ვმუშაობდი შ.პ.ს. „დეტექტივი–2007“ დაცვის უფროსად, 2006-2009 წწ. შ.პ.ს. „მეგაჯორჯია“–ტრანსპორტის სამსახურში ზედამხედველად, 2010-2013 წწ. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებულის აპარატში სპეციალისტად, წამყვან სპეციალისტად, 2015 წლის 14 ივლისიდან ვარ გამგებლის წარმომადგენელი.

***თქვენი ჰობი, ინტერესთა სფერო. თქვენი სამსახურიდან გამომდინარე, გაქვთ დრო სოფელზე ზრუნვის გარდა დაკავდეთ ოჯახში, უყუროთ ტელევიზორს, წაიკითხოთ გაზეთები, „ხობის მოამბე“ თუ გამოიწერეთ და თუ კი, იქნებ სხვებმაც მოგბაძონ და უერთგულონ ჩვენს გაზეთს, მოგვწერონ მათთვის საინტერესო თუ პრობლემურ საკითხებზე.***

—მიყვარს კითხვა, 2010 წლიდან ვარ თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველი. გაზეთი „ხობის მოამბე“ უკვე გამოვიწერეთ. ვცდილობთ, თქვენს გვერდით ვიყოთ.

***ჭალადიდში მოქმედ დაწესებულებებზე რას გვეტყვით. სკოლა, საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო დაწესებულება აქ ყოველთვის გამორჩეული იყო. რა მდგომარეობაა დღეს, ვინ არიან იქ ხელმძღვანელები, მათ პრობლემებზე რას გვეტყოდით?***

—ჭალადიდში მოქმედებს საჯარო სკოლა, რომლის დირექტორია ქალბატონი ირმა ხარშილაძე. სკოლაში არის 26 პედაგოგი და 306 მოსწავლე. სკოლაში არის გათბობის პრობლემა, შემოსაღობია მთლიანი ტერიტორია. საბავშვო ბაღი (მთავარი სპეციალისტი მანანა სესკურია), ჯგუფის რაოდენობა–2, აღსაზრდელთა რაოდენობა–55, სულ 9 თანამშრომელი. სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, წელს ბაღს სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება. შესაცვლელია სამრეცხაო ოთახის მილები, გამოსაცვლელია იატაკი. ასევე სოფელში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელსაც წლებია სათავეში უდგას ქალბატონი გულნაზ ჯიშკარიანი. სოფელს ემსახურება ახალგაზრდა ექიმი ელზა ტყემალაძე, ღვაწლმოსილი ექთანი ეთერ დემანია, მიუხედავად ამბულატორიის არარსებობისა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მათ დროებითი ფართი გამოუყო, სადაც აგრძელებენ მუშაობას.

სოფელში ფუნქციონირებს პატარა საწარმოებიც. შ.ბ.ჯ.ი.ლ–ვოპტერი-ლოლიალური წყლების გადამუშავება და უტილიზაცია, სადაც დასაქმებულია 6 ადამიანი. შ.პ.ს. „სერგო ბერაია“–სიმინდის ფქვილისა და ღერღილის წარმოება. (დასაქმებულია 6 კაცი და 6 ქალი). შ.პ.ს. „კრისტალი“ (დირექტორი თორნიკე ჯიშკარიანი). ასევე ფუნქციონირებს აფთიაქი, სილამაზის სალონი, მაღაზია, სადაც დასაქმებულია 5 ადამიანი.

***დაწვრილებით გვესაუბრეთ სოფლის ხალხზე, მათ ჭირ-ვარამზე, მიღწევებზე, სოფელი ძალიან დიდია. ამდენად, მასზე სათქმელიც ბევრი გექნებათ. თქვენი სოფლიდან ბევრი ღირსეული ადამიანი ხობში (და არა მარტო ხობში) კომკავშირულ, პარტიულ თუ სამეურნეო სამუშაოებზე მოღვაწეობდნენ და წარჩინებულ ადამიანთა რიგებს ავსებდნენ და ავსებენ (ახალგაზრდებზეც მოგვიყევით რამე). იქნებ გაიხსენოთ, ისინი რადგანაც მათ ჭალადიდის წარმოჩენაში დიდი ამაგი მიუძღვით.***

—ჭალადიდში ძირითად მოსახლეობასთან ერთად 50-იან წლებში იმერეთიდან, რაჭიდან, აჭარიდან ჩამოსული ხალხი ცხოვრობს. სულ 976 კომლი 2774 მოსახლით, სოფელი ძალიან დიდია, ბევრი ღირსეული ადამიანი გაიზარდა ჩვენთან. მათ შორის აკადემიკოსი ანდრო ღვამიჩავა, მწერალი როდიონ ქორქია, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ღირსების ორდენის მფლობელი ქალბატონი სულიკო დარჯანია, სამწუხაროდ, წელს გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი, ომის ვეტერანი შოთა უფლისაშვილი. მუნიციპალიტეტში თუ სხვა ქალაქში აქტიურ მოღვაწეობას დღესაც განაგრძობენ ანგულ მიქავა, აკაკი დარჯანია, გიორგი ნადარეიშვილი.

***რას გვეტყვით სოფლის დეპუტატზე?***

—სოფელში ბევრი ნიჭიერი და ხალხის მიმართ კეთილად განწყობილი ახალგაზრდა ცხოვრობს. ასეთ ახალგაზრდებს შორისაა ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი ალექსანდრე ნაჭყებია. ის „ყულევის შავი ზღვის ტერმინალში“ მუშაობს თუმცა ყოველთვის ჩვენს გვერდითაა, აქტიურადაა ჩართული ნებისმიერი სახის პრობლემის მოგვარების საქმეში. დგას იქ, სადაც საჭიროდ მიიჩნევს, ის ხომ ხალხის რჩეულია და ხალხის ინტერესების დაცვა მისი მოვალეობაა.

***ხელისუფლების ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისადმი, რაც ამ წლებში ბევრჯერ გამოიკვეთა, ხალხი დადებითად აფასებს? ახლა კიდევ ერთ მნიშვნელოვან სიახლეზე—მიწის კერძო საკუთრებაში რეგისტრაციისთვის ბარიერები იხსნება. ამაზე რას იტყვით, ხალხი როგორ შეხვდა მას?***

—ჩვენმა მთავრობამ საქართველოს მოსახლეობისთვის ძალზე ბევრი რამ გააკეთა წლების განმავლობაში (სამედიცინო პოლისი, საბავშვო ბაღებში უფასო კვება, უფასო წიგნები...) რასაკვირველია ყველაზე უმთავრესი—სოფლის მეურნეობისადმი ყურადღება და აღორძინება. გლეხმა შეძლო დაემუშავებინა წლების წინ დაუმუშავებელი მიწებიც კი. ასე, რომ ხალხის მადლიერება იგრძნობა ყველგან. მალე მათი ხელშეწყობით დაიწყება ხვნის სამუშაოები.

ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა გამოიჩინა ჭალადიდში სანიაღვრე არხის ამოწმენდით, ამავე პროექტის ფარგლებში კეთდება 47 ხიდ-ბოგირი და იხრეშება მიმდებარე გზა, რაც დიდ მადლიერებას იწვევს მოსახლეობაში. ასევე დიდი კმაყოფილება გამოიწვია მიწის დარეგისტრირებაზე ბარიერების მოხსნამ. ხალხი იმედით ელოდება ამ პროგრამის ამოქმედებას და უკეთესი ხვალინდელი დღის მოლოდინით აგრძელებს ცხოვრებას.

ჭალადიდელებს ცხოვრების იმედიანად გაგრძელებაში ეხმარება და სულიერად აძლიერებს წმიდა ნინოს სახელობის ეკლესია (მოძღვარი მამა გიორგი).

*ესაუბრა*
**ნანი კილასონია**

# რატომ უყვართ ძლიერთ ამაქვეყნისა, მლიქვნელი ადამიანები...

არც თუ ისე შორეულ წარსულში, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხობში ერთი ლამაზი, შინაარსობრივად და რუბრიკების სიმრავლით გამორჩეული გაზეთი „ქალაქი ხობი" გამოდიოდა... ამ გაზეთის მეშვეობით როგორც ჟურნალისტი ხობელებმა გამიცნო. გაზეთში მქონდა საკუთარი რუბრიკა „ხობელი თბილისელები". ჩემდა საბედნიეროდ, იმ პერიოდში ბევრი ღირსეული ხობელი გავიცანი და ხობს მათი არსებობა შევახსენე. თითოეული ინტერვიუ და მათი გაცისკროვნებული თვალები მახსოვს, როცა ხობსა და ხობელობაზე ვესაუბრებოდი. ეს პატარა შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ კვლავაც დიდი სურვილი მაქვს, გიამბოთ იმ ხობელებზე, რომლებმაც თავის კარიერულ წინსვლას თბილისში მიაღწიეს, გარემოებებიდან გამომდინარე, ცხოვრება იქ უწევთ, მაგრამ თავის ხობელობას ხაზს უსმევენ და თავისი ქალაქის ნოსტალგია აქვთ.

**დღეს მსურს გიამბოთ ხობელ ლევან ბუკიაზე, წლების წინ ის სასწავლებლად თბილისში გაემგზავრა, ბავშვობიდან უყვარდა ჩხირკედელაობა, ჩვენ თითქმის ერთად გავიზარდეთ, მახსოვს ხისგან კუსტარულ ჩარხზე როგორ ამზადებდა საბრძოლო იარაღებს. მაშინ ეს მისთვის უბრალო ჰობი, გატაცება იყო. ეს გატაცება მას პროფესიად ექცა.**

**პირველი პროფესიული განათლება საპატრიარქოსთან არსებულ სამჭედლოში მიიღო. რომელსაც კახაბერ ზარნაძე ხელმძღვანელობდა. ამჟამად მონაწილეობს ქვეყნის გარეთ სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში. დანების, ხანჯლებისა და სხვა „მამაკაცური ნივთების" შემქმნელს, გეგმაში აქვს შექმნას კოლექცია სპეციალურად ქალბატონებისთვის. ლევანი თვლის, რომ მთავარი ამ პროფესიაში არის მუდმივი სწავლა და ცოდნის გაღრმავება. დღეს მეიარაღე, ოსტატი ლევან ბუკია საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციის წევრია.**

## მეამაყება, რომ ვარ ხობელი

***ლევან, რატომ და როგორ გახდი მჭედელი?***

ჩემი თაობის ბიჭებს ყველას გვქონდა ბავშვობაში იარაღით გატაცების მომენტი. თავიდანვე შევამჩნიე რომ, ცივი იარაღი განსაკუთრებულ ინტერსს იწვევდა ჩემში. ვცდილობდი ჩემით გამეკეთებინა ფილმებში ნანახი გმირების იარაღი. მოკლედ, შეიძლება ითქვას, ყველაფერი ჩხირკედელაობით დაიწყო. ჯერ ხისგან ვჩორკნიდი რალაცეებს, ასაკთან ერთად ფოლადის დამუშავებაც ვცადე, სახლში კუსტარულ ჩარხზე ვწვალობდი, მაშინ ვერც წარმომედგინა მჭედელი თუ გავხდებოდი.

ერთხელაც ტელევიზორში შემთხვევით გადაცემა ვნახე მჭედლზე, რომელიც შემდგომში ჩემი მასწავლებელი გახდა. გავიგე ეგ სამჭედლო სად იყო და მივაკითხე იქაურობას. ერეკლე მეორის პერიოდის თაღიან შენობაში შევაბიჯე და სამჭედლოშიც შევედი. იქ მოსწავლეები ყველა თავისი საქმით იყვნენ დაკავებულნი და რომ ავუხსენი, რომ მეც ამ საქმის სწავლა მინდოდა, ოსტატს დაუძახეს. სამჭედლოში ეგეთი წესია, გრდემლთან და ქურასთან მჭედლის გარდა იშვითად შედის უცხო. ქალი საერთოდ არ დაიშვება, რადგან ყველა ადამიანი თავისებური აურის მატარებელია ყველასგან რჩება რაღაც იქ. ქალი ნაზი და სათუთი არსებაა თავისი ბუნებით, იარაღი არ შეიძლება იყოს ამ თვისებების მატარებელი.ზოგს მოჭარბებულად აქვს აგრესია და ა.შ. ამიტომ მჭედლები ერიდებიან იქ, სადაც იარაღი იბადება იყოს მისვლა-მოსვლა და ქაოსი. სამჭედლოში ქურა და გრდემლი ყოველთვის გამოყოფილადაა საერთო ფართისგან, რომელშიც ნებისმიერი სტუმარი შემოდის. როდესაც მჭედელი ხმალზე ან ხანჯალზე მუშაობდა მარხვასაც კი იცავდა, რომ განწმედნილყო თავის აზრებსა და ზრახვებში, რადგან მის მიერ დამზადებული იარაღი არ ყოფილიყო ბოროტების მატარებელი. დაუძახეს მოსწავლეებმა და გამოვიდა ოსტატი. გავეცანი და ავუხსენი, რომ ამ საქმის სწავლა მინდოდა. ჯერ მკაცრად დამაკვირდა, რადგან სუსტი აღნაგობის კაცი ვერ იქნება მჭედელი. ეს საქმე კარგ ფიზიკურ ამტანობასაც მოითხოვს. მერე გამომელაპარაკა და მითხრა, რომ ამჟამად ბევრი მოსწავლე ყავდა და ვერ ამიყვანდა. დავემშვიდობე და გამოვბრუნდი, მაგრამ სანამ ეზოდან გავიდოდი, ერთ-ერთი მოსწავლე დამეწია და მომაბრუნა უკან.

მოკლედ, მე და ჩემი მასწავლებელი შევთანხმდით, რომ ჯერ ხატვა უნდა მესწავლა, მიმითითა ისტორიული ლიტერატურა საიდანაც ილუსტრაციები უნდა მეხატა და კვირაში ერთხელ მივსულიყავი 7 ნახატით. ოღონდ არაფერს მპირდებოდა, გა-



დავხედავ აგიყვან თუ არა მოსწავლედო. ასე ვიარე 8 თვე. მერე მითხრა აყვანილი ხარო და ესე დაიწყო ჩემი პრაქტიკული ჩართვა ამ საქმეში. ბევრი მოდიოდა ჩემსავით და ეტყობა ესე იფილტრებოდა ვის მართლა უნდოდა სწავლა და ვის ისე რა.

***სამჭედლოში არის თუ არა რამე ტრადიცია?***

–სამჭედლოში არსებობს ასევე ტრადიცია, რომლის თანახმადაც მჭედელმა თავისი პირველი ნამუშევარი უნდა დაამტვრიოს. ამით თავს არიდებს მიჯაჭვულობას და თვითკმაყოფილების შეგრძნებას საკუთარი ნამუშევრებისადმი, რაც მისი შემოქმედებითი ზრდის საფუძველია. 3 წელი დავყავი ამ სამჭედლოში. როდესაც ჩემმა ოსტატმა ჩათვალა, რომ გარკვეულ დონეს მივაღწიეთ, ძველი თაობა მოსწავლეებისა გაგვიშვა და ახალი მოსწავლეები აიყვანა, როგორც ადრე. ასე რამდენიმე თაობა მჭედლების აღზარდა ჩვენმა მასწავლებელმა.

***რამოდენიმე წლით, როგორც ვიცი შენ საქართველო დატოვე და უკრაინაში გაემგზავრე. რა შეგძინა უკრაინაში გატარებულმა წლებმა?***

–უკრაინაში ჩემი კოლეგები გავიცანი და შევუდექი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას და საკუთარი გამოცდილების გაზიარებას. ამაში ძალიან დამეხმარა მჭედელთა საერთაშორისო ფესტივალები, რომლებიც უკრაინაში წელიწადში 2 ჯერ იმართებოდა იმდროისთვის. ასეთ ფესტივალებზე იცნობ უამრავ შენს კოლეგას, სწავლობ მათგან ისეთ ნიუანსებს, რაც შენთვის არის ახალი, უზიარებ ასევე შენს გამოცდილებასაც, ეცნობი ახალ მასალებს, რომელთანაც ჯერ არ გქონია შეხება, ახალ ინსტრუმენტს და ა.შ.

***როგორ დაიწყო შენი კარიერული წინსვლა?***

–კარიერის დასაწყისში ხშირად ვამზადებდი მოხატულ იარაღს, ძირითადად კოლხური ბრინჯაოს პერიოდის ორნამენტებს ვაკეთებდი, მაგრამ ოდნავ ჩემი გემოვნებით სტილიზებულს. ნივთის შექმნისას მთავარი პრინციპია, რომ ნივთი იყოს ფუნქციონალური, მერე უკვე შესრულების სისუფთავე და სიზუსტე მოდის. იმდენად ზუსტად უნდა იყოს შესრულებული, რომ არ ჩამოუვარდებოდეს ქარხნულს. ახლა იშვიათად ვამზადებ მოხატულ იარაღის პირებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის სურვილია. ვთვლი, რომ როგორც მამაკაცს არ



შეშვენის ზედმეტი გადაპრანჭვა, ისე ცივ იარაღს, ზედმეტად მოხატული კი სუვენირი უფრო გამოდის. ცივ იარაღს ხისტი წიბოები თუ სხვა ელემენტები, რომლებიც ტრადიციულად ახლავს კავკასიურ იარაღს, მკაცრ და ელეგანტურ იერს ისედაც აძლევს. თითოეულ ნივთზე დაახლოებით 2 კვირა ვმუშაობ.

საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ევროპაში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა მჭედლობის სფეროს და ძალიან დიდი სურვილი მაქვს საქართველოშიც მეტი პოპულარიზაცია გაეწიოს ამ საქმიანობას. ევროპაში სახელმწიფო ძალიან ეხმარება ამ სფეროს და უწევს პოპულარიზაციას. ამას წინათ გახლდით ორი თვით წასული ესტონეთში, სადაც ვსწავლობდი და ვმუშაობდი კიდეც. შემდეგ კი ფინეთში მიგვიწვიეს ფინელმა კოლეგებმა, რომლებიც წინა წლის ფესტივალიდან გავიცანი. ფინეთში არის დაბა სახელად ფისკარსი, სადაც შვედებს მე-19 საუკუნეში რკინის მომპოვებელი საწარმო აუშენებიათ. ეს არის ერთ-ერთი მხარე ფინეთში, რომელიც ტბების სიუხვით არის განთქმული. მანდვე, ერთ-ერთ ტბაზე აშენებულია დამბა და წყლის ენერგია გამოიყენება უზარმაზარი მექანიკური უროს მუშაობაში ისეთი მასშტაბებისთვის, რომელსაც ადამიანის ენერგია ვერ გასწვდება. სწორედ ფისკარსიში იმართება ყოველი წლის მაისში სკანდინავიური დანის მკეთებელთა გამოფენა-კონკურსი. ჩვენთან კი ტრადიციული რეწვა, რატომღაც, მხოლოდ ტურისტზე გათვლილ ერთჯერად პროდუქციას აწარმოებს, მაგრამ ტურისტი, რომელმაც იცის ხარისხი, ერთჯერად ნივთს მეორედ უკვე არ იყიდის.

***ლევან, მოდი ცოტათი თემა შევცვალოთ, რას ნიშნავს შენთვის ხობელობა?***

–ხობელობა ჩემი თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. სამყაროს აღქმა ოჯახის მერე ჩემთვის ხობელობით იწყება. წიგნში დათა თუთაშხია ძალიან ზუსტი მაგალითია მოყვანილი იმისა, რომ ადამიანი თავისი კუთხის დესპანს წამოადგენს თავის ქვეყანაში და უცხოეთში მოხვედრილი თავისი ქვეყნის სახეა. ასე ვარ მეც. ყოველთვის ხაზს ვუსვამ საკუთარ წარმომავლობას და მეამაყება, რომ ხობელი ვარ.

***ფიქრობ თუ არა, რომ დღევანდელი ხობი შენი ბავშვობის ხობისგან განსხვავდება.***

–განსხვავება რა თქმა უნდა, არის. განხვავებაში პლიუსების და მინუსების ხაზგასმას არ დავიწყებ. ერთს ვიტყვი მხოლოდ, ბედნიერი ვიქნები, ყველა ხობელი, რომ ხობს დაუბრუნდეს და ხობში შეძლონ ხობელებმა თავიანთი პოტენციალის რეალიზაცია.

***რომ არ ყოფილიყავი ის ვინც ხარ, ეხლა ვინ იქნებოდი?***

–მსოფლიოს ჩემპიონი კრივში...

***რომ არ დაბადებულიყავი საქართველოში დაიბადებოდი***

–შვედეთში

***ცხოვრებაში ყველაზე მეტად რა გინდა?***

–დალაგებული და სტაბილური საქართველო მახსოვს. მინდა ყველა ქართველი სამშობლოში ცხოვრობდეს და მხოლოდ სამოგზაუროდ დადიოდეს უცხოეთში. მინდა მთლიანი იყოს ჩემი ქვეყანა.

***ბავშვობაში ყველაზე მეტად რა გინდოდა?***

–ბავშვობაში რაც მინდოდა, ყველაფერი მქონდა. შორს მიმავალი გეგმები არასდროს მქონია, უფრო სპონტანურობა მახასიათებს. ვიდრე გეგმები და მათი საფეხურეობრივი შესრულება.

***რის გარეშე არ წარმოგიდგენია ცხოვრება?***

–ჩემი საქმიანობა, რამდენჯერმე დავუბრუნდი მას. ვგრძნობ, რომ რასაც ვაკეთებ, ჩემია.

***ჩემი მეგობრები, ჩემთვის-არიან...***

–ჩემი მეგობრები ჩემთვის მნიშვნელოვანი დასაყდენი არიან. მუდამ ვგრძნობ მათ მხარდაჭერას და თუ რამეს ღირებულს ვაკეთებ, ალბათ მათი დამსახურება უფროა, მათი გვერდში დგომით ბევრ რამეს ვახერხებ... მეგობრობა საპასუხისმგებლო ტვირთია, უკან არასდროს ვიხევ თუ რომელიმე მეგობარს ჩემი თანადგომა სჭირდება.

***ყველაზე მეტად რა მოგწონს საკუთარ თავში...***

–ვერ ვილაპარაკებ საკუთარ თავზე ალმატებულ და აღფრთოვანებულ ტონში.

***მაშინ რა არ მოგწონს საკუთარ თავში...***

–ხანდახან კონფრონტაციას ვარიდებ თავს და ადამიანებს თავიანთ ნეგატიურ საქციელს თუ სიტყვებს არ ვუფიქსირებ. ყოველთვის ჯობია პირდაპირობა.

***რისი გჯერა?***

–მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება...

***ყველაზე მეტად ადამიანში რას აფასებ?***

–პირდაპირობას.

***ის, რაც გაქვს და რისი დაკარგვაც ყველაზე მეტად არ გინდა?***

–პირადი თავისუფლება, სუბორდინაცია ჩემთვის არ არსებობს. ადამიანებთან მხოლოდ თანაცხოვრობის პრინციპით შემიძლია ურთიერთობა, ერთადერთი ასაკის წინაშე ვიხრი ქედს.

***ის, რაც არ გაქვს და ყველაზე მეტად გინდა, რომ ჰქონდეს?..***

–ცოტა პრაგმატულობა მაკლია...

***ბავშვობის ცუდი პერიოდი...***

–სამოქალაქო ომი რომ დაიწყო, თერთმეტ-თორმეტი წლის ვიქნებოდი. სკოლაც და სტუდენტობაც ცოტა უფერული მქონდა, პრაქტიკულად არაფრისმომცემი დაკარგული წლები იყო. არადა ის საუკეთესო პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. ჩემს შვილებს არ მინდა მსგავსი სიცარიელე ქონდეთ.

***ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ყველაზე ხშირად იყენებ...***

–ხშირად ვცვლი აკვიატებულ ფრაზებს.

***ყველაზე ხშირად რა გავიწყდება?***

–დავურეკო მშობლებს და ტკბილი სიტყვები ვუთხრა. მგონია, რომ უფრო ხშირად უნდა ვაკეთებდე ამას.

***ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ...***

–ნებისმიერი გადადგმული ნაბიჯის მამოძრავებელი და სულის ჩამდგმელი თავიდანვე სიკეთე უნდა იყოს. ბევრი ადამიანი ბოღმით და შურით აღწევს საკმაოდ სოლიდურ შედეგებს, მაგრამ რაოდენ წარმატებულიც არ უნდა გახდეს ასეთი ადამიანი ყოველთვის მეორე იქნება. ვინაიდან თავის წინ თუ არ ეგულება ვინმე არანაირი ძალა არ უბიძგებს წარმატების მიღწევისაკენ. ნებისმიერ სფეროში ადამიანის წინსვლა საქმის სიყვარულით უნდა იყოს განპირობებული. ჯანსაღი კონკურენცია სულაც არ მიმაჩნია უარყოფით მომენტად.

***არ იცი და გინდა იცოდე***

–რატომ უყვართ ძლიერთ ამაქვეყნისა, მლიქვნელი ადამიანები, როდესაც მშვენივრად აცნობიერებენ მათ სიყალბეს...

***როგორი გინდა დაგიმიმახსოვრონ?***

–ისეთი, როგორიც სინამდვილეში ვარ. ხელოვნურად არ ვიქმნი ჩემს იმიჯს.

***სიმღერა, რომელსაც ყველაზე ხშირად ღიღინებ...***

–გაფრინდი შავო მერცხალო.

***კინო-როლი, რომელსაც ყველაზე კარგად მოირგებდი...***

–დათა თუთაშხია... (ეღიმება)

***წიგნი, რომლის ავტორიც იქნებოდი...***

–მარტოობის ასი წელიწადი.

***მარკესი? და მაინც რატომ?***

–მას ძალიან სიღრმისეული სიმბოლიზმი ახასიათებს. თითქოს ერთ ჩვეულებრივ ადამიანზე ან ოჯახზე გიყვება ისტორიას და სინამდვილეში სამყაროში არსებულ ძალთა ბალანსზე, სიკეთეზე და ბოროტებაზე გესაუბრება. ეს ადამიანები თითქოს არც არიან მისი გმირები, ისინი უბრალოდ ინსტრუმენტს წარმოადგენენ მკითხველამდე იმის მოსატანად, რასაც ის გულისხმობს სინამდვილეში.

***ნიჭი, რომელსაც ყველაზე მეტად გინდა, რომ ფლობდე...***

–ზოგჯერ ძნელად გასაგები ვარ ადამიანებისთვის, ცოტას ვლაპარაკობ ჩემს თავზე. ხშირად პირდაპირ ნათქვამში ქვეტექსტებს ეძებენ, მინდა რომ ადვილად ესმოდეთ ჩემი.

**ვფიქრობ დაგღალეთ, გმადლობთ საინტერესო საუბრისთვის წარმატებებს გისურვებ...**

*ესაუბრა*

***ნინო გერგაია***

8 აპრილს ძუკუ ლოლუა 139 წლის გახდებოდა

ჩვენი სახელოვანი წინაპრები

# „ისტორია და მადლიერი ერი არ დაივიწყებენ ამ დარგში მომუშავეთ...“

## ცხოვრებისეული ეპიზოდები



მშვენიერია ჩვენი ქვეყანა თავისი ბუნებით, ხალხით, მრავალჟამიერით, მზის სადიდებელი–„ლილეთი“ და „ჩაკრულოთი“, დაღლილი მეურმის „ოროველა“ ხომ გულს აგიფორიაქებს, საოცარია ხალხური პოლიფონიის მრავალფეროვნება. ძნელია გაუძლო ამ ცდუნებას, მით უფრო თუ სისხლში–ერთი პატარა მომღერალი გენი გიტოკავს და გატკბობს, ხმას გაგასინჯებს, მით უფრო, თუ ხმაც ჩონგურივით მომართული გაქვს...

1899 წელი... სანდრო კავსაძე, იმერეთის ლოტბარი, ქუთაისის თეატრში ქართლ-კახური სიმღერის კონცერტს მართავს. მას ჯერ კიდევ ახალგაზრდა ძუკუ ლოლუა ესწრება, კონცერტიდან გამოყოლილმა შთაბეჭდილებამ მას მტკიცედ გადააწყვეტინა მეგრელ მომღერალთა გუნდი შეექმნა, ეს განზრახვა თავის მეგობრებს გაუზიარა, შეკრიბა მომღერლები და ხალხური სიმღერის კონცერტიც გამართა. მშიერ-მწყურვალი ატარებდა გუნდს, კარდაკარ დადიოდა, კრებდა, სწავლობდა ხალხურ სიმღერას, ამისთვის არც ერთ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა იქნებოდა ქორწილი, ჯარალობები, საერო თუ საეკლესიო დღესასწაულები. შეაგროვა და დაამუშავა, დახვეწა მოსმენილი მელოდიები და 1897 წლის 28 თებერვალს ძუკუ ლოლუამ ქუთაისის თეატრში საზოგადოებას წარუდგინა სოფელ კოკის მომღერლებისგან შემდგარი მეგრელ მომღერალთა გუნდი. ამ გაბედულ, მაგრამ საიმედო გამოსვლას იმდროინდელი ქართული საზოგადოება დიდი ინტერესით და მოწონებით შეხვდა. შემდეგი კონცერტები გამართა ბათუმსა და სოხუმში.

ძუკუს და, ნოტიო ლოლუა იხსენებდა: ძუკუ არაფერს იშურებდა, ოღონდ საქვეყნო საქმე არ დაკარგულიყო, უკანასკნელ გროშებს დებდა, ქამარ-ხანჯალს აგირავებდა. არამარტო სიმღერა და გალობა, არამედ აღსანიშნავია მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა: მისი ხელმძღვანელობით სოხუმში გაიხსნა წიგნის სახლი „დიოსკურია“, დაარსა აფხაზ-მეგრელთა მუსიკალური საზოგადოება. ქ. ფოთში სიმღერისა და გალობის მოყვარულთა საზოგადოება. მან პირველმა წამოაყენა აზრი ოლიმპიადის მოწყობისა–თუმცა, ვერცერთ ოლიმპიადას ვერ მოესწრო.

ძუკუ ლოლუასთვის ყოველი ახალი სიმღერის აღმოჩენა უდიდეს სიხარულთან იყო დაკავშირებული. აი ერთი საინტერესო ფურცელი მისი ცხოვრებიდან.

ზუგდიდი–ხობის გზატკეცილზე დილიჟანი მიდის, იმდროინდელი ტრანსპორტის პირობებში დიდი გზაა, რა ქნას კონდუქტორმა მანუჩარ დგებიამ? დღე-დღეს უფერულად მისდევს, და რომ შეაფერადოს შარაგზის ერთფეროვნება, მღერის თავისთვის. ერთხელ ძუკუმ ყური მოჰკრა მის სიმღერას, ჩაუჯდა დილიჟანში. მიდის დილიჟანი, სიჩუმეა იგვლივ, მანუჩარი მღერის:

*„ნეტე მაფა ქოპუასი*
*სი გეგოჩქვა დედოფალო*
*თელ ქიანს დაგიმტკიცე*
*სი ქემერჩა საჩუქარო“.*

ამ მოსმენილ კუპლეტს ძუკუმ ჩუმად წაუმღერა:

*„ჩხომს მუფერ ჯგირ ღოლე*
*ინა ვერგუ უწყარეთუ*
*მუჭო თინა თეში ვერგუ*
*ვართ მა იბრგუქ უსკანეთუ“.*

მანუჩარმა ცალი თვალით გადახედა ძუკუს და განაგრძო ხმამაღლა:

*„სი დოზოჯი მა გალინა*
*მუთას გოქიმინაფუანქ,*
*ხეშა წყარს მა გეიბუ*
*პისუთ გოგობონაფუანქ“...*

ასე გაგრძელდა. სიმღერამ დაამეგობრა ეს ორი მომღერალი: ჭაღარა და ჭაბუკი. მანუჩარი თმა-წვერ დათოვლილი იყო. ძუკუ მხოლოდ 23 წლისა, ბევრი ისწავლა მხცოვანისაგან. მთელი წელიწადი გრძელდებოდა სწავლება ხობიდან ზუგდიდამდე და ზუგდიდიდან ხობამდე. ბევრი დავიწყებული სიღერა თავად მოიძია. სხვისგანაც ისწავლა და თავად აღზარდა, შემდგომში გამოჩენილი ლოტბარ-მომღერლები: კიწი გეგეჭკორი, რემა შელეგია, კირილე პაჭკორია, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ლუდი ბაბილუა–რომელიც წლების მანძილზე ძუკუს მარჯვენა ხელი ყოფილა. 1916 წელი ლუდი ბაბილუა თავისი მშვენიერი ხმის წყალობით ხშირად გამოდიოდა კონცერტებზე. ეს შეუნიშნავს ძუკუ ლოლუას და მისი მონდომების წყალობით ლუდი ბაბილუა ძუკუსთან სახლში აღმოჩნდა.

„იმ დღიდან მე გადავწყვიტე მასთან გუნდში მემუშავა. ჩემი ძალ-ღონე ფოლკლორის სამსახურისათვის გადავდე“–იგონებდა მუსიკოსი. თანამედროვე მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა ლუდი ბაბილუას მიერ შესრულებული „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“, „კუჩხი ბედინერი“, „სი ქოული ბატა“ „ართი ვარდი“, „მახა“, „ლილე“, „მრავალჟამიერი“ და მრავალი სხვა.

„სი ქოული ბატა“–სიმღერა 1934 წელს იქნა ჩაწერილი ლოტბარ რემა შელეგიას მიერ. ეს სიმღერები გვაოცებს ჟანრობრივი სიმდიდრით, შემსრულებელთა დაუშრეტავი შემოქმედებითი ფანტაზიით. „სი ქოული ბატა“-ს მოსმენით აღძრულ შთაბეჭდილებებზე წერდა კონსტანტინე გამსახურდია:–„თქვენს წინ გადაიშლება სამეგრელოს ნისლოვანი მიდამოები, თალხი ცა და წითელი ფერების სინაკლულე, დაბალი ცის არშია და გაშლილი ჰორიზონტი... ადამიანის მიერ უწესრიგოდ დარგული თხილნარები და სუროსფრად მობიბინე სიმინდის ყანების მონოტონური შრიალი“...

სოხუმში ჩასვლისთანავე ძუკუმ მთავარ ამოცანად აფხაზური სასიმღერო შემოქმედებითი საგანძურის მოპოვება განიზრახა, მან ფეხით შემოიარა აფხაზეთის სოფლები, გაეცნო აფხაზთა ცხოვრების წესსა და სულიერ სამყაროს. დაუახლოვდა აფხაზური სიმღერის საუკეთესო მცოდნეებს–აბას კოლონიას, გუჯუჯი მარღანიას, მალხაზ ეშბას, კონდრატე ძიძარიას და სხვებს. გუნდის რეპერტუარის შერჩევისას ძუკუ თანაბარ ადგილს უთმობდა ქართულ-მეგრულ-აფხაზურ ნომრებს. შემდგომში ცნობილი ლოტბარები–კიწი გეგეჭკორი, კირილე პაჭკორია, ვანო კოზმავა (აფხაზი), მაქსიმე ანუა, ძღიკი ძიაფშიფა, ხშირად მიმართავდნენ საკონცერტო რეპერტუარში ძუკუ ლოლუას მიერ სცენაზე გამოტანილ სიმღერებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა აფხაზური საფერხულო სიმღერის „შარათინის“ სხვადასხვა ვარიანტების საფუძველზე შექმნილმა თეატრალიზებულმა ცეკვამ და სიმღერა-სატირამ სცენური გამოსახულება ჰპოვა. ეს ფაქტობრივად აფხაზური თეატრის დასაწყისიც იყო.

ძუკუ ლოლუა აფხაზეთისათვის უდიდესი პატივისცემულ, პირველმასწავლებლად და აფხაზური მუსიკალური ხელოვნების აყვავებისა და განვითარების ფლაგმანად იქცა...

თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მოიცალა ძუკუმ ოჯახური კერის შესაქმნელად და შემდგომში თავის გრძნობებს გამოხატავს შემდეგნაირად:

*„მუ გრძნობა რე*
*ვემებხვადი,*
*მახარია ჩქიმი დაშა*
*გურსი მიხუტოლუანსი,*
*მუთა მემიძ დონთხაფაშა.*
*სქანი ლანდი მა მისხუნუ*
*სიცოცხლე დო ქიანაშა,*
*ირო იჭაჭყალუქი მარა,*
*მუთა მისხუნუ სქან*
*ჯინაშა“.*

სოფელ ქვალონის ეკლესიაში ძუკუ ლოლუასა და დაშა ჩიქოვანის ჯვრისწერა შედგა, რომელსაც საუცხოო მომღერლები რემა შელეგია, პორფილე გაბელია, ძმები ალანიები ესწრებოდნენ. თქვენთვის ადვილი წარმოსადგენია თუ რა სიმღერები, სადღეგრძელოები და საერთო მხიარულება იქნებოდა ამ ქორწილზე, სადაც მეგრელ რჩეულ მომღერლებს მოეყარათ თავი. ძმები ერმილე და ანდრი ალანიები დაიბადნენ ხობის ერთ ლამაზ მდინარისპირა სოფელ გურიფულში. სიმღერის სიყვარული და ნიჭიც ჯიშად მოსდგამდათ, სიმღერამ დააახლოვა ძუკუ და ანდრი ერთმანეთს.

ერთურთს ბოლომდე მეგობრობდნენ. ანდრის უკვე ჰყავდა გუნდი, რომელიც წარმატებით გამოდიოდა დაბაში. ასევე იყო ანდრის შთამომავალი ლადი ალანია, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა მამის საქმე. მისი განსაკუთრებული ტემბრის ხმა თავიდანვე იქცევდა მსმენელის ყურადღებას. ვლადიმერი ჩონგურზე, ფანდურზე, გარმონზე ვირტუოზულად დაკვრის ხელოვნებას ფლობდა. შესანიშნავი პიროვნება–რომელიც „ქვასაც კი აატირებდა“ იყო იროდი ალანია, რომელიც რემა შელეგიას მიერ ჩამოყალიბებულ ხეთის გუნდში მღეროდა. მისი ნამღერი სიმღერები ოქროს ფონდშია დაცული.

როცა მეგობრები სიმღერას დაიწყებდნენ, ძუკუ, რემა, ანდრი, ერმილე, ლუდი, როგორც მაშინ იტყოდნენ, თვით „მაფშალიაც სმენად იქცეოდაო“. სოფელ ხეთაში სუფრაზე მყოფ მომღერალთა სიმღერამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა 16 წლის ჭაბუკზე, რომელიც გაკადნიერდა და ცნობილ მომღერლებს მხარი აუბა. მათ ყურში ჩაესმათ ახალი ხმა ჭაბუკისა–ეს იყო აკაკი ხარებავა. შემდგომში დიდი ლოტბარი, აფხაზეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე. ის არამარტო მეგრული სიმღერების მოძიებასა და დამუშავებას ახერხებდა, არამედ თვითონაც მრავალი სიმღერა შექმნა. ყველასთვის ცნობილი „მარებელი“, „ბექია“, „სიმღერა შოთა რუსთაველზე“ და მრავალი სხვა.

როცა ძუკუ ლოლუას ხანმოკლე ცხოვრების დაისი იწურებოდა მძიმედ ავადმყოფი, სიცოცხლის ბოლო მინორულ აკორდს იღებდა მაშინ ხობის რაიონის ერთ პატარა სოფელში ძუკუს სიმღერას წკრიალა ხმით 8 წლის ბიჭუნა მთელი ხმით გამღეროდა, მას პოეტურ ნიჭთან ერთად განგებამ სასიამოვნო ხმა და დახვეწილი მუსიკალური სმენა დაანათლა ეს იყო ალექსანდრე ალიოშა ბერაია, პატარაობიდანვე ტკბილ-მომღერალი, ასზე მეტი სიმღერის ტექსტისა და მელოდიის ავტორი, ძალიან ახალგაზრდა ჭაბუკი პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს. უფრო მოგვიანებით ხობის რაიონული ანსამბლის „შვიდკაცას“ ხელმძღვანელობდა, სადაც მთელ კოლხეთში ცნობილი სიმღერის ოსტატები მღეროდნენ: ვლადიმერი, იროდი, რადიკო ალანიები, ლუდუკი ჩაჩიბაია, ვაჟა აბაკელია, გაგალი ჭითანავა. ბუმბერაზი მომღერლები და ლოტბარები იღწვოდნენ და შემოგვინახეს ქართული სიმღერები.

არიან პიროვნებები, რომელთა დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე, მათი ღვაწლი გარდაცვალების შემდეგ კი არ ფერმკრთალდებიან, პირიქით, რაც მეტი დრო გადის უფრო აშკარად ვლინდება.

ასეთი პიროვნებაა მეგრული სიმღერის პატრიარქი ძუკუ ლოლუა, რომელიც დაიბადა სოფ. ქვალონში 1877 წლის 8 აპრილს. მისმა მოღვაწეობამ შთამომავლობას ანდერძად დაუტოვა „გვიყვარდეს ქართულ-მეგრულ-აფხაზური სიმღერა“ და იქვე იტყვის: „ისტორია და მადლიერი ერი არ დაივიწყებენ ამ დარგში მომუშავეთ“...

ჩვენ, რომ ვფლობთ და ვაშუქებთ საინტერესო ინფორმაციებს, გვაქვს ხელშესახები ძეგლი-მუზეუმის სახით და საფესტივალოდ გამოცემული ლიტერატურა, რომელიც დავანებულია მსოფლიოს მუსიკალურ ბიბლიოთეკებში. ხობის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონ გოდერძი ბუკიას დამსახურებაა.

**ნანა ჯალაღონია,**
***„ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი (სამეგრელო)“.***

# სპორტი

## „კოლხეთის“ კიდევ ერთი გამარჯვება

12 აპრილს ხობის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა საქართველოს XXVII ეროვნული ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში პირველი ლიგის გუნდებს შორის.

ხობის „კოლხეთმა“ უმასპინძლა ბორჯომის „ბორჯომს“.



გათამაშების ცხრილიდან გამომდინარე, ორივე გუნდი ლიდერთა შორისაა და უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის იბრძვიან. მატჩი მეტად დაძაბულად წარიმართა, თამაშის დასაწყისში ანგარიში ხობელმა გიორგი ჭედიამ გახსნა და „კოლხეთი“ ანგარიშით 1:0 დაწინაურდა. პირველი ტაიმიც ასე დასრულდა, მეორე ტაიმში ხობელებმა, კერძოდ, ზურაბ ჭანტურიძემ მეორედ შეარხია სტუმრების კარის ბადე და ანგარიში 2:0 გახდა, მატჩიც ასეთი ანგარიშით დამთავრდა. აღსანიშნავია ხობელი მეკარის ზაზა გელაშვილის კარგი თამაში.

ამ თამაშის მოგებით „კოლხეთს“ 50 ქულა დაუგროვდა, ასევე 50-50 ქულა აქვთ თბილისის „ვით ჯორჯიასა“ და „ბორჯომს“, რომლებიც ჩვენთან ერთად იბრძვიან ჯგუფში მეორე ადგილისთვის და ასევე პირველობის საგზურისთვის. (პირველ ლიგაზე მყოფ ცხინვალის „ლიახვს“ უკვე გარანტირებული აქვს მომავალ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში თამაში).

მომავალი შეხვედრას „კოლხეთი“ 16 აპრილს თბილისში, მარნეულის „ლგეთთან“ გამართავს.

მორიგი გამარჯვება ვუსურვოთ ხობელ ფეხბურთელებს დარჩენილ შეხვედრებში.

## მინი ფეხბურთი

ქ. ხობში ნოდარ შენგელიას და დათა ხურცილავას სახელობის ხელოვნურსაფარიან სტადიონებზე გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში მუნიციპალიტეტის 17 საჯარო სკოლის 2000, 2001, 2002 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდი იღებდა მონაწილეობას.

შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. წაგებული გუნდი ეთიშებოდა გათამაშებას. ტურნირი მეტად საინტერესოდ გაიმართა. გამოჩნდნენ ნორჩი პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებიც მომავალში ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსებას დაიცავენ.

მესამე ადგილი დაიკავა ქვემო ქვალონის საჯარო სკოლამ (დირექტორი ლუარა ყალიჩავა, სპორტის მასწავლებელი რომან მორგოშია).

მეორე ადგილზე გავიდა ჭალადიდის საჯარო სკოლა (დირექტორი ირმა ხარშილაძე, სპორტის მასწავლებელი პაატა ხვიჩია).

შეჯიბრების ღირსეული გამარჯვებული და რეგიონალური პირველობის საგზური მოიპოვა ხობის №1 საჯარო სკოლამ, რომელმაც ფინალში დიდი ანგარიშით 7:2 დაამარცხა ჭალადიდის საჯარო სკოლა. გამარჯვებულთა ღირსებას იცავდნენ თედო კალანდია, ედიკა ჭედია, ლუკა ქირია, ნიკა ფაჩულია, ნიკა ღადუა, ლუკა შონია, ნიკა აბრამია, ირაკლი შონია, ნუკრი ქობალია, ბექა წურწუმია, ლუკა საჯაია, ირაკლი ჯანაშია (დირექტორი ქეთევან გაბისონია, სპორტის მასწავლებელი ლაშა სიჭინავა).

პრიზიორები და გამარჯვებულები დააჯილდოეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ბატონმა მახარე ჩოკორაიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ, საქართველოს პარლამენტის წევრის, ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი გოდერძი ბუკიას ბიუროს უფროსმა ბატონმა რევაზ წულაიამ.



ამ შეჯიბრებით მუნიციპალიტეტში დამთავრდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა-თამაშები, გამოვლინდა ის ცხრა გუნდი, რომლებიც რეგიონალურ თამაშებზე ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსებას დაიცავენ.

შეჯიბრება ორგანიზებული იყო მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი როზეტა შულაია) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების (განყოფილების უფროსი ნანა ბუკია) მიერ.

შეჯიბრებაზე პრიზები დააწესეს საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხობის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა გოდერძი ბუკიამ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ედიშერ ჯობავამ.

რეგიონალურ ასპარეზობაზე ჩვენი გუნდების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო (უფროსი რევაზ წულაია), ხოლო გუნდებს სპორტულ ეკიპირებაზე იზრუნებს მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო.

მოსწავლეები და მათი მასწავლებლები მადლობას უხდიან ხობის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ გოდერძი ბუკიას, მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოჩა ქაჯაიას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ედიშერ ჯობავას, გამგებლის მოადგილეს, დარგის კურატორს ბატონ მახარე ჩოკორაიას, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსს ბატონ რევაზ წულაიას.

მოსწავლეები იმედს იძლევიან, რომ წარმატებით გამოვლენ რეგიონალურ შეჯიბრებაზე, რომელიც სტარტს 23 აპრილს აიღებს.

წარმატებები ვუსურვოთ ნორჩ ხობელ სპორტსმენებს მომავალ შეჯიბრებებზე.

***მასალები მოგვაწოდა ლევან ლემონჯავამ.***

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

### ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

**დანართი №1**

| N | დასახელება | სავარაუდო წონა კგ | აუდიტორული შეფასება (ლარი) | „ბე" 10 % | „ბიჯი" 10% | ბილეთი საფასური(ლარი ) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შავი ლითონი ჯართი (სხვადასხვა დასახელების) | 4630 | 694,5 | 69.45 | 69.45 | 20 |
| 2 | ტრაქტორი დზ-42 (ჯართად) | 6500 | 975 | 97.5 | 97.5 | 20 |
| 3 | ჯართი | 1400 | 280 | 28 | 28 | 20 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2016 წლის 25 აპრილი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში. საკონტაქტო პირი–ლამზირა თოდუა–ტელ-599-85-60-91

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

სულთათანა

# მონატრების ესსე
## (ლალა თათარიშვილის მოსაგონარი)

ღირსსახსოვარ ადამიანებზე ფიქრის მოძალებამ ჩვენი რაიონისთვის და არა მხოლოდ, პატივსაცემი, განსაკუთრებული თვისებების გამო გამორჩეული ქალბატონი ლალა თათარიშვილი გამახსენა. უპირველეს ყოვლისა, ის გახლდათ პიროვნული ჰარმონიული განვითარების გზითა და გაუცხოების ლიკვიდაციის საშუალებით–აბსოლიტურად თავისუფალი ადამიანი (ყოველშემთხვევაში ჩემში ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა). აზროვნებითი სიღრმე, საკითხისადმი წვდომის ძირეულობა და შესაბამისი ინტელექტუალური „ბეღელი" იძლეოდა ამის თქმის საშუალებას. ქალბატონი ლალა ადამიანებზე, მითუფრო ჩვენზე–მოსწავლეებზე კულტურულ ჰეგემონიას სულისა და ინტელექტის ბატონობით ახდენდა. ამით გახლდათ ის დიდიცა და მისაბაძიც.

ხობის N1 საჯარო სკოლის დირექტორი და მათემატიკური საგნების მასწავლებელი, ჰუმანიტარული განათლებითაც აღაფრთოვანებდა ჩვენს ყურადღებას და დამოკიდებულებით, გამორჩეულობით გვიზიდავდა სამეგობროდ.

მისი ერიდებოდათ, ეშინოდათ კიდეც, მაგრამ უყვარდათ და უაღრესად დიდ პატივსაც სცემდნენ. დამოკიდებულების ასეთ სიმაღლეს იმსახურებდა იმ განსაკუთრებული თვისებების გამო, რომლის გადმოფრქვევასაც მაღალოსტატურად ახერხებდა, როგორც კოლეგებში, ისე აღსაზრდელებში.

სკოლაში ქალბატონი ლალას ასე სიღრმისეულად გაცნობას ვერანაირად მოვახერხებდი, რომ არა ჩემი ძმისა და მისი მიწერ-მოწერა პოეზიისა და საერთოდ მწერლობის თაობაზე. ძმისგან ნებადართული დიდი ინტერესით ვეცნობოდი ჩემი დირექტორის ბარათებს და აღფრთოვანებული ვიყავი მისი ინტელექტუალური სიმაღლითა და განსწავლულობით, მითუფრო სულიერი კულტურის ისეთ ჟანრში, როგორიც მწერლობაა. მრავალი რამის გახსენება შეიძლება იმ ბარათებიდან, თანაც მე გახლდით ურთიერთსაპასუხო წერილების სანდო „ფოსტალიონი", განსაკუთრებულად კი გამოვყოფდი რუსულ პოეზიასა და მწერლობაზე მსჯელობებს, რამაც ჩემში დატოვა წარმოუდგენლად დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილება. ეს გახლდათ წერილობითი ლექციების უბრწყინვალესი კურსი. ჩემს წინ იშლებოდა ცივ-სუსხიანი, ბერიოზებით, თვალშეუდგამი სტეპებით, ჩათბილული ქოხმახებით, ოთხვალებზე შებმული მძიმე მტვირთმზიდველი ცხენებითა და ყორან-ყვავებით აფორიაქებული სამყარო. პუშკინი, ლერმონტოვი, ბლოკი, ესენინი, მაიაკოვსკი, ტოლსტოი, ბელიაევი, დოსტოევსკი, პაუსტოვსკი, ახმატოვა, სალავიოვი და სხვები ინტელექტუალური და მხატვრული ფერადოვნებით შემოდიოდნენ და სახლდებოდნენ ჩემს შეუმღვრელ არსში. განსაკუთრებულად მსჯელობდნენ ტოლსტოისა და დოსტოევსკის გმირებზე. იმხანად თავი გადაფოთრილი მქონდა „ძმები კარამაზოვების", "ანა კარენინას", „ომი და მშვიდობისა" და სხვათა გმირ-სახეებით, პასაჟური სიმძაფრეებითა და მათეული კრიტიკული მსჯელობებით.

მუდმივად მეცინცხლებოდა ჩარლზ ბუკოვსკის ორი სენტენცია, რომელიც ასე ხორციელად დამამახსოვრდნენ: „მონობა არ გაუუქმებიათ, უბრალოდ ყველა კანის ფერს მოარგეს". და „მონებს არასდროს უხდიან იმდენს, რომ გათავისუფლდნენ".

მახსოვს ბელინსკის სიტყვები პუშკინის პოეზიაზე: „პუშკინის ლექსის საიდუმლოება, იყო არა იმის ხელოვნება, რომ მორჩილი სიტყვები მწყობრ ზომებად შეერწყა და ისინი წკრიალა რითმით დაემთავრებინა, არამედ პოეზიის საიდუმლოება პუშკინის სულის ანარეკლი იყო, უწინარეს ყოვლისა, ის პოეზია, რომელიც წიგნებში კი არა, ბუნებაში, ცხოვრებაშია..."-ბუნებრივი, სამყაროს შეგრძნების უნიკალური შესაძლებლობით ფეთქავდა ლალა თათრიშვილის ყველა წერილი.

ერთ-ერთ წერილს ჩემი ძმაბ ლაშა ამ სიტყვებით ასრულებდა: „ქ-ნო ლალა, ჩვენს შორის ერიდა ჩამოაგდო არა კულტურებისადმი მიდგომილობის დამოკიდებულებითმა და ხასიათობრივმა სიმძაფრემ, არამედ იმან, რომ თქვენ დასავლეთევროპულ ლიტერატურაზე მაღლა აყენებთ რუსულ ლიტერატურას, რომელსაც მე უდიდეს პატივს ვცემ, თუმცა თავისუფლების ნიშანსვეტური კრთომილობა, ასე რომ აკლია რუსულ ლიტერატურას, ძალუმად მაღლისდება ევროპულ და დასავლურ ლიტერატურაში". „ერიდა", როგორც შემდგომ ლექსიკონით გავარკვიე, ბერძნულად განხეთქილების ქალღმერთი ყოფილა. დიახ, ხშირ შემთხვევაში განხეთქილებამდე მისულ დავას ამძაფრებდა ქ-ნი ლალას უსაზღვრო გატაცება და სიყვარული რუსული მწერლობით, განსაკუთრებით კი პოეზიით, რასაც ჩემი ძმა არ ეთანხმებოდა და დავა ხშირად მძიმე ფორმებს იღებდა.

ლაშა და ქ-ნი ლალა პოლიტიკურად ურთიერთსაპირისპირო პოლუსებიდან მოდიოდნენ, თუმცაღა, ამ საკითხზე არასდროს უდავიათ, ყოველშემთხვევაში მე არ მსმენია და არც წამიკითხავს.

ქ-6 ლალას შეეძლო გაბრაზებული ლაშას ოსტატურად შემობრუნება, ისეთი თბილი და უმეტესად რუსთველური მეტაფორებით დაიწყებდა წერილს, არ შეიძლებოდა ლაშას გულისთანა ადამიანი უცებ თავისკენ არ მოეტრიალებინა. მოკლედ, ამ წერილების კითხვამ ამიყვანა იმ სიმაღლემდე, რომელსაც ახლა უფრო ვითავისებ და ვაფასებ.

ჩემმა სითამამემ და დაუკითხავად ყოველივეს გაცხადებამ მინდა კეთილად „გააღიზიანოს" ჩემი ძმა და მწერლური ოსტატობით ისაუბროს იმ საინტერესო ურთიერთობასა და მიწერ-მოწერაზე, რომელიც დარწმუნებული ვარ მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ჩვენი კულტურული სივრცისთვის.

ლალა თათარიშვილი მარტოსული გახლდათ. ეს თვალნათლივ ილანდებოდა მის სიღრმისეულ სევდაში. ცდილობდა არ გამოეჩინა, თუმცა დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ მისი პიროვნული დრამა მარადიულ განცდად ჩაკირვოდა ყოფიერ მრავალფეროვნებას, რომლის გამშვენიერებასა და გალამაზებას ნიჭიერად ახერხებდა, თუმცა, სევდის მდუმარება–კაეშანი რომ უწოდა კონსტანტინე გამსახურდიამ, წარუშლელ კვალს სტოვებდა მის არსში.

ოჯახი, ანუ ქმარ-შვილი არ ჰყოლია, მთელ ამ სიყვარულს ახლობლებს, მოსწავლეებსა და მეგობრებს უნაწილებდა, ყველას თავისას აკუთვნებდა, დაფასებასა და პატივისცემასაც შესაბამისს ღებულობდა.

გამთაბარებაც შეეძლო და მარტოსულობაც, ხმამაღლობითაც იპყრობდა ყურადღებას და დუმილიც ამშვენებდა. იცოდა ვისთან უნდა ემეგობრა, ვისთან რა თემაზე რა დოზით ესაუბრა. რასაც ვერ იტანდა, მისი სიტყვები რომ გავიხსენოთ, თავშეუკავებელი, ყველაფრის მოლაპარაკე–დორღიალა კაცი იყო.

მის ბედაურ ქალობას მისი მოყვასისადმი სიყვარული და ღვთითბოძებული უშურველობა წარმოადგენდა, ამიტომაც ვერ მოიდგა სანაღვლისო ცხოვრებაში ძირი სევდამ და ყველას თვალსა და მოგონებაში დარჩა კეთილისმყოფელ, ღიმილიან ლალა თათარიშვილად, ალექსანდრა ბერაიას, რომელსაც ჩემი ძმა ვერიკო ანჯაფარიძეს ადარებდა, ღირსეულ შვილად და მემკვიდრედ.

ისე, როგორც „სამწვერვალო რამეებზე" წერისას შეკრთება ადამიანი, ამ კეთილმოსაგონარ ქალბატონზე წერაც მაკრთობს, რამეთუ მას ბევრი მოსიყვარულე, თბილადმომგონებელი მეგობარი თუ ახლობელი ჰყავს და ვაითუ, რაიმე ისე ვერ ვთქვა! ვაითუ, რამე დავაკლო თქო! თუმცა, თავს იმით ვიმშვიდებ, რომ უბრალოდ, მონატრებული მასწავლებელი და საყვარელი ადამიანი მოვიგონე, ერთი მოკრძალებული ესსე მივუძღვენი, განაჩენი კი მომავლის საქმეა, ვფიქრობ ლალა თათარაშვილის ხსოვნას უთუოდ მივუბრუნდები, თანაც უფრო საინტერესო კონტექსტითა და შტრიხებით.

***ნანა გვასალია***

# ანრი ჯგერენაია



ჩემო თვალებხატულა...

რა ჭეშმარიტადაა ნათქვამი... „წუთია წუთისოფელი", მართლაც რომ წუთმა განსაზღვრა შვილო შენი და ჩემი ბედი, წამმა წაიღო ჩვენი უკიდეგანო ბედნიერება. სრულიად მოულოდნელად მარადისობაში გადაგისროლა, მე კი საშინელმა უიმედობამ და სასოწარკვეთილებამ მომიცვა, სიცივემ და სიცარიელემ დაისადგურა ჩემს ირგვლივ, ვინ ან რა ძალამ უნდა შემიხორცოს ეს საშინელი ჭრილობა, თუ არა შენ, ჩემო თვალის ჩინო, ჩემო საყვარელო ანრი!.. ღრმად ვარ დარწმუნებული, გვჯერა შვილო, შენ წმინდა და უსპეტაკესმა, უფლის საუფლოში დაივანე. შენი ხორციელი შეუხებლობით ვეწამები, ისე მენატრები, მინდა გულში ჩაგიკრა და ჩაგიხუტო ჩემო ერთადერთო ზეციერო უფლისწულო, ჩემი დანისლული მომავლის ციურო მანათობელო...

აქ, რა დაგვრჩენია მე და მამაშენს, გარდა გოდებისა, ადგილს ვერსად ვერ ვპოულობთ. თითქოს და არსებულ ფუტურო ლეშებად ვიქეცით, ყველაფერმა ერთბაშად დაკარგა ჩვენთვის აზრი და უსაზრისო გავხდით...

დედა შემოგევლოს, შენი დები გლოვობენ უშენობას, ყველა წუხს ნაცნობი თუ უცნობი. მე მხოლოდ იმიტომ ვიძინებ, იქნებ სიზმარში მაინც გიხილო, ეს დამრჩენია.

ასე ინებაო განგებამ, მეუბნებიან, დამაჯერებელ პასუხს ვერავინ მაძლევს, ეგებ შენ მითხრა დედა ანრი, შენ...

უშენოდ თორმეტ საათს ვერ ვძლებდი, უკვე თერთმეტი თვე გავიდა, თუმცა რა გაძლებაა, ჯოჯოხეთურად ვიტანჯები და ვიგვემები. მახსენდება დედი, შენს დანახვაზე ყველა საქმეს რომ მივატოვებდი და „მარშუტკიდან" გადმოსულს რომ განახავდი სპეციალურად შენს შესაგებებლად ოთახის მეორე კარიდან გავდიოდი, ჩემი ანრი გაიხარებს მეთქი, ახლა რაღა ვქნა შვილო? ვაი შენს უბედურ დედას?!

ღმერთმა გაგაბედნიეროს და ნათელში გამყოფოს... მე ცოდვილს კი მომიტევოს უფალმა უშენობით მოგვრილი უიმედობა და სასოწარკვეთილება...

***შენი დედიკო ლელა***

# ზიკო ტურავა
## სიკვდილი სიცოცხლისთვის
## ჩანახატი



გაზაფხულის ნაცრისფერი და ნაცივარი დღე. ცაც იყო შეციებული, შეცბუნებული, გამურული, ჰაერიც კი უგემური... წვიმა... პროცესია... ადამიანები უხმოდ მიჰყვებოდნენ შენს ცხედარს თვალებიდან ღვარმოდენით, ზიკო. ცრემლი ახრჩობდათ, რადგან სოფელს თავისი მზეჭაბუკი მოუკვდა. შენ სიკვდილის შემდეგაც, როგორც ყოველთვის, იყავი ლამაზი, ამაყი, „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი".

....ამ დღეს სილამაზეს ვასაფლავებდით... საიდან მოდის ასეთი სილამაზე ან სად მიდის? იქნებ იქ, ზეცაში, სადაც შენმა სულმა შემასწრო.

ისეთი ლამაზი იყავი, რომ მიწაზე დასაბრუნებლად ვერ გაგიმეტეს.

განა მარტო ლამაზი? ალალი, ნაღდი, უღალატო, დახვეწილი, მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი ხიბლით, შარმით. უანგაროდ, უხვად უნაწილებდი შენს მრავალრიცხოვან სამეგობროს სითბოს, სიყვარულს–შენ შენი სამეგობროს გვირგვინი იყავი. რა მოვუხერხოთ მონატრებას? როგორ დავიტიოთ ის, რისი თქმაც ვერ მოვასწარით?

„სიკვდილო, შვილი გაგიზარდეო",–ეს შენი სათაყვანებელი დედის, ნანას, მოთქმაა. მერედა როგორი შვილი. მართლაც ბრალია შენი სიკვდილი! ვერც შენი მამის, შენი ლამაზი დების (ასე მოიხსენიებდი მათ) გოდება, ვერც პარაკლისები, რეკვიემები ვერ მოარჩენენ შენი გარდაცვალებით გამოწვეულ პირმოუკრავ ჭრილობას.

...და იყო წვიმა, წვიმა, რომელიც ნაკვალევს შენსას ვერ წაშლის, ზიკო. სამარის პირად, როცა დადგა უკანასკნელი წუთები გამოთხოვებისა, ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერავინ გაუბედა შენს ღვთიურ სილამაზეს, ვერავინ... ვერავინ....

არა, მიწას არ შერცხვა, მაგრამ ბალახი კი მიწაში ჩაძვრა სირცხვილით...

და მანუგეშებლად ისევ შენ მოგვევლინე და იქიდანაც კი გვამშვიდებ: „სიკვდილი არა არის რა, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი, მე შორს არ ვარ, ზუსტად გზის გადაღმა ვარ, მაშ, შეიშრე ცრემლი და ნუ ტირი თუ მართლა გიყვარვარ, მე ხომ მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი".

გჯეროდეს, ზეცაც და მიწაც იზრუნებს შენი წმინდა სულისთვის, ზიკო!

***ლალი დვალაძე***

# ბეჟან კვარაცხელია



ბეჟან–ჩვენო დიდო ტკივილო და გაუნელებელო მწუხარებავ! მიჭირს შენზე წარსულ დროში საუბარი. კეთილო, სათნო, ღიმილიანი ყველას ძალიან გვაკლიხარ... პირველ რიგში საცოდავ დედას, რომელმაც სიმწრით გამოგზარდა. შენს საყვარელ დას და სიძეს რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს შენს გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ, ნათესავებს, მეგობრებს და ბოლოს ყველას, ვინც შენ გიცნობდა, ან რაიმე ურთიერთობა ქონდა შენთან, ისინი ჩვენზე არანაკლებ არიან დამგლოვიარებულნი შენი დაკარგვით. მიუხედავად იმ მძიმე სენისა, რომელიც ტრაგიკულ დასასრულს გიქადდა. შენს სანახავად მისულ დანაღვლიანებულ მნახველებს სიხარულით ეგებებოდი და უმასპინძლდებოდი. არ გინდოდა საკუთარი ტკივილით სხვა შეგეწუხებინა. ჩემო ძლიერო, ჭეშმარიტო ვაჟკაცო, სიგიჟემდე გიყვარდა ყველა. თვითონ კი ძალიან ცოტა იკმარე, მხოლოდ 42 წელი.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

***მაყვალა პაჭკორია.***

სკოლამდელ დაწესებულებაში

# „პატივი ეცი სიბერეს, ის შენი მომავალია“

ყველა დღესასწაულს თავისებური პეწი და სილამაზე, ამაღლებული განწყობა და ხალასი ახლავს, მითუმეტეს, როცა ეს გაზაფხულის უმშვენიერეს დღესასწაულებს ეხება.

ხობის №2 საბავშვო ბაღში უჩვეულო ფუსფუსია... სასიამოვნოდ ჟღერს მუსიკა... დარბაზის კედლებს აღსაზრდელების პაწაწინა ხელებით დახატული „გაზაფხულის პეიზაჟები“ ამშვენებს. მართალია, აქ ყოველთვის განსხვავებული ღონისძიებები ტარდება, მაგრამ ამ ლამაზ დღეს ბაღი სულ სხვა



„რაკურსით“ წარსდგა მოწვეული სტუმრების–აღსაზრდელების ბებიების წინაშე. ეს ღონისძიება მათ მიეძღვნა.

სცენარის ავტორი და წამყვანი გახლდათ ქალბატონი ნარგიზა ტუღუში (საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტი).

„მოგესალმებით ძვირფასო სტუმრებო, ლამაზო ქალბატონებო, საყვარელო ბებიებო, გილოცავთ გაზაფხულის დადგომას. თქვენთან ჩვენი შეხვედრა შემთხვევით არ მომხდარა, ეს მიზნობრივია, რადგან ჩვენი პატარები სკოლამდელ ასაკში ყველაზე მეტად ოჯახზე არიან დამოკიდებულნი. ამიტომ ამ ასაკში ძალზე მნიშვნელოვანია აღსაზრდელებსა და ოჯახის წევრებთან მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენი მიზანია, არა მარტო მშობლებთან, არამედ იმ ადამიანებთან ურთიერთობაც, რომლებსაც მზე და მთვარე შვილიშვილებზე ამოსდით.

ქართულ ოჯახში ყოველთვის ფასობდა ოჯახური ღირებულებები, ტრადიციები, წესჩვეულებები, უფროს-უმცროსობა, ბებიები, ბაბუები, რომლებიც ბავშვების უტყუარი სარკეა. მათი სიყვარული უსაზღვროა, ამიტომაც გადავწყვიტეთ შეგვექმნა „ბებიების კლუბი“ და ამ კლუბის აქტიურ წევრებს. თითოეულ ჩვენთაგანს კარგად გვაქვს გააზრებული თქვენი როლი, ჩვენი აღსაზრდელების აღზრდაში.

თუ როგორი შრომატევადი და საპასუხისმგებლოა მათი მოვლა-პატრონობა.

თქვენ ხართ ადამიანები, რომლებიც დიდ ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებთ. ჩვენ თქვენ ყოველთვის უნდა გაგიფრთხილდეთ და ხშირად გითხრათ

*„თეთრი ჭაღარები უხვად*
*შეგრევიათ*
*და თმებს დაგცვენიათ,*
*როგორც გვირილები.*
*მოდით იმ ადამიანებს*
*გაუმარჯოს*
*რომლებსაც სახელად*
*გქვიათ ბებიები...“*

საოცარი და ამაღლებული იყო ეს ყველაფერი. არ შემიძლია ემოციისა და განცდის გარეშე დაივიწყო ის, რაც თვალით ვიხილე და გულით განვიცადე. ბებიების გაბრწყინებული თვალები, ფაციფუცი, სიხარული, პატივისცემა და იმედი იმისა, რომ მათ შვილიშვილებს კარგად ეცოდინებათ „პატივი ეცი სიბერეს, ის შენი მომავალია“.

ღონისძიება დატვირთული იყო სხვადასხვა ნომინაციებით, სცე-



ნაზე ცოცხლდებოდა ნოდარ დუმბაძის სხვადასხვა პერსონაჟები ლეგენდარული „მე ბებია, ილიკო და ილარიონიდან“ ბოლო აკორდი ნანა რუხაძისა და ქეთინო აბშილავას იუმორისტული სანახაობა (ბუთქუნა და თამაზა) იყო.

„კისკისებდა“ დარბაზი, წინ დიდი მხიარულება ელოდათ.

ღონისძიებაში აქტიურად ჩაებნენ ბებიები, თავიდან მორცხვობდნენ, მაგრამ შემდეგ „გაცეცხლდნენ“ მღეროდნენ, ცეკვავდნენ, იუმორითა და ღიმილით იხსენებდნენ თავიანთ ბებიებს, კურიოზებს და იყო დიდი „აურზაური“. ელეგანტური „კეკლუცი“ თანამედროვე, ფუსფუსა ბებიები.

სიყვარული და სიხარული იფრქვეოდა ყველგან ჩიტებივით გალობდნენ პატარები და თვალები ბებიებისკენ გაურბოდათ. შვილიშვილებს ხომ განსაკუთრებულად უყვართ ისინი.

კონკურსს ჟიური აფასებდა და შედეგებიც სასიამოვნო იყო თუმცა ჟიურის წევრები ვერ „ახერხებდნენ“ შეფასებას, რადგან ბებიები ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ.

საუკეთესო როლის შესრულებისთვის დარიგდა სერტიფკატები.

მხიარული კურიოზებისთვის–მარინა რუხაძე.

სამსახიობო როლისთვის–ნონა მიქაუტაძე

მზრუნველი ბებია–ქეთევან ნადარაია.

უხუცესი ბებია–ჟენია ხუხია.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მიქაუტაძეების მუსიკალური ოჯახი, ბებიის, შვილისა და შვილიშვილის ტრიო.

მათ გაზაფხულის ეს ლამაზი დღესასწაული მიულოცა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა დოდო გაბუნიამ, რომელიც აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

ქალბატონ ნარგიზა ტუღუშს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება, ის თავისი ცხოვრების წესით, ღვაწლითა და მოღვაწეობით ადასტურებს უდიდეს ჭეშმარიტებას, რომ ადამიანები ამქვეყნად გარკვეული მისიის შესანარჩუნებლად მოდიან. ვინც ამ მისიას თავის მოქალაქეობრივ ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე პირნათლად ასრულებს. ქალბატონი ნარგიზა სწორედ მათ რიცხვშია, მან ცხოვრების საინტერესო წლები ბავშვების აღზრდას შეალია, კიდევ უფრო სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მხნედ და ენერგიულად აგრძელებს საყვარელ საქმიანობას თავის თანამშრომლებთან ერთად შემართება და ენთუზიაზმი არ ელევა.

რაც შეეხება ბაღში მომუშავე თითეულ პიროვნებას, გამოირჩევიან არა მარტო პროფესიული მოვალეობებით, არამედ სამსახიობო ნიჭით, ქცევით, კულტურით მათი შეფასება შეუძლებელია.

მადლობა მათ ამ ლამაზი დღისთვის.

**ნაირა ბერაია**

ინფორმაცია

## 2016 წლის 25–30 აპრილის ჩათვლით ევროპის მასშტაბით იმუნიზაციის კვირეული ტარდება

2016 წლის 25 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით ევროპის მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც, ჩატარდება იმუნიზაციის კვირეული, რაც ითვალისწინებს ნებისმიერი მოქალაქის, აღსაზრდელის მშობლის, სამედიცინო დაწესებულების მიერ უფრო მეტ აქტიურობას 0-დან 15 წლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა კონტიგენტის ვაქცინაციაში.

კვირეულის მიზანია კიდევ ერთხელ გავამახვილოთ ჩვენი საზოგადოების, სასკოლო და განსაკუთრებით სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების და მოსწავლეების მშობლების ყურადღება პროფილაქტიკური აცრების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე, ვაქცინაციის დადებით მხარეებზე. იმაზე, რომ არავაქცინირებული ბავშვი საფრთხეს უქმნის არა მარტო თავის თავს, არამედ გარშემომყოფი ბავშვების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებული და პრეკვალიფიცირებული ვაქცინები, რომლებიც გამოირჩევა მაღალი ეფექტიანობით და უსაფრთხოებით.

პროფილაქტიკური აცრების ხელშეწყობით, ნებისმიერი მოქალაქე გახდება სახელმწიფოს ძლიერი მხარდამჭერი მომავალი თაობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან საქმეში.

**ჯუმბერ ტურავა,**

**ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.**

გვწერენ

## სამადლობელი

თქვენი გაზეთის ფურცლებიდან გვინდა მადლიერების ბარათით შევეხმიანოთ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ გოჩა ქაჯაიას, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ედიშერ ჯობავას, ხობის მუნიციპალიტეტის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის უფროსს, ქალბატონ შოლინა კანკიას, ხობის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამით ჩვენს სოფელში ოჯახის ექიმის დასაქმებისთვის.

ქალბატონი მარიკა ლატარია ღვთის საჩუქარია დავრდომილი, მარტოხელა და მარტოსული ავადმყოფებისთვის.

რაოდენ დიდია ზემოქვალონელების სიხარული, კვალიფიციური სპეციალისტის კონსულტაციით ჩატარებული მკურნალობით სრულ გაჯანსაღებას, ქრონიკულად მოვალე პაციენტები კი მკვეთრ გაუმჯობესებას და რაც მთავარია, ავადმყოფობის გართულებას ვიცილებთ თავიდან. თანაც დღევანდელი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, სრულიად უსასყიდლოდ, ფასგადახდევინების გარეშე ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს დაფინანსებით.

გულისხმიერი, კეთილშობილი, სანდომიანი, ჩვენი გასაჭირის გამზიარებელი მარიკა ექიმი ცდილობს მძიმე ავადმყოფები ყოველთვის ბინაზე მოინახულოს, დააიმედოს, სწორად დააკვალიანოს და სიცოცხლის იმედი ჩაუსახოს.

ექიმებთან ვიზიტის დღეს, მისაღებში უამრავი ჩვენი თანასოფლელი უხმოდ ელოდება თავის რიგს, კონსულტაციის შემდეგ კი, ლოცავს სოფელში მათი ჯანმრთელობის დარაჯად მოვლენილ უანგარო ექიმს, ჭეშმარიტ მკურნალს, რომელსაც სისხლხორცეულად უყვარს თავისი საქმიანობა და ალალად ემსახურება მის იმედად მყოფ სნეულებს.

ძვირფასო, რედაქციის თანამშრომლებო! ვისურვებდით თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ჩვენი მკურნალისა და მისი კოლეგების წარმატებული საქმიანობის შესახებ მხოლოდ მადლიერება გვესმოდეს.

***ზემო ქვალონელების სახელით:***

***გულიანა ალანია, ნათია მალანია, ლარისა ქობალია, მაკა ჭანტურია, ნინო ზარანდია, ბელა ოკუჯავა, გულნარა კახიანი, თეა ქობალია, გულნარა ალანია, ფაჩიკო სახეიშვილი.***

*დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.*

*გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“*

*სარედაქციო კოლეგია:*

*თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,*

*თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.*

*რედაქტორი–მანანა შულაია.*

*ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.*

*კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.*

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1

ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.

ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.